კვირეული ბეჭდური „ვერსია“ ერთი

ვერსია

№5 (1595) 9-15 თებერვალი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი მძარცველი ნიკა გვარამიაა“

გია ვოლსკი: „ნაცმოძრაობამ საქართველო რუსეთის წინაშე დაასუსტა და რუსეთის ბაზები გააძლიერა!“

„სააკაშვილს ქვეყნის წინაშე მხოლოდ ძალიან მძიმე სისხლის სამართლის კი არა, მორალური დანაშაულიც მიუძღვის!“

რატომ ვერ ახერხებენ ე.წ. პატარა პარტიები გაერთიანებას და რაში ხედავს გამოსავალს ქართული დასის ლიდერი

სპეცოპერაცია კახეთში – როგორ მოხვდა, თითქოს შემთხვევით, თავში ორი ტყვია ცნობილი ბანდის მეთაურს

რითი დაემუქრნენ კრიმინალები ქირურგს – სკანდალური საქმის დეტალები

ენმ რუსთავის შუალედურ არჩევნებზე დეპუტატობის კანდიდატად დიმიტრი შაშკინს დაასახელებს

რაში დაარწმუნა ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი – ექსკლუზივები ენმ-ს კულუარებიდან

მიხეილ რამიშვილს ქონების წართმევით ემუქრებიან!

რა სიახლეებია „ციანიდის საქმეში“ 5 წლის შემდეგ – სკანდალური ინტერვიუ სკანდალურ ადვოკატთან

ალექსანდრე დარახველიძე UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ შეხვედრა გამართა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან, ანნა ჩერნიშოვასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხს, რომლის განხორციელებაშიც გაეროს განვითარების პროგრამამ სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა.

მინისტრის მოადგილემ ანა ჩერნიშოვას გააცნო სამინისტროს სამომავლო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავს უწყების საქმიანობის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ანა ჩერნიშოვას და გაეროს განვითარების პროგრამას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა.

სამეგრელოს პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი, მათ შორის, ორი ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავეს.

1978 წელს დაბადებულ გ.ჭ.-ს ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ხოლო 1973 წელს დაბადებული ა.ყ. და 1986 წელს დაბადებული ა.გ. ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღებისთვის არიან დაკავებული.

პოლიციამ ნარკორეალიზატორთა გამოსავლენად, რამდენიმე ეტაპად განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

სამართალდამცველებმა, სამივე ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვას და გასაღებას გულისხმობს.

პოლიციამ მარნეულში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ა.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 დაბადებული ა.ი. ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.მ. ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საფრანგეთმა საქართველო ნარინჯისფერი ქვეყნების სიაში გადაიყვანა

2022 წლის 4 თებერვლიდან, საფრანგეთმა საქართველო ნარინჯისფერი ქვეყნების სიაში გადაიყვანა. ინფორმაციას საქართველოს საელჩო საფრანგეთში ავრცელებს. განცხადებაში კოვიდვაქცინირებულთა შესვლის პირობებია განმარტული.

„ნარინჯისფერი ზონიდან შესვლა შესაძლებელია ვაქცინაციის სრული კურსისა და ბოლო 48 საათში ჩატარებული PCR ტესტის, ან ანტიგენზე დაფუძნებული ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენით. პირი სრულად ვაქცინირებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

Pfizer, Moderna, AstraZeneca – მეორე დოზიდან გასულია 7 დღე;

ერთდოზიანი ვაქცინის (Johnson & Johnson) მიღებიდან გასულია 4 კვირა;

COVID გადატანილი პირების აცრიდან გასულია 7 დღე (საჭიროა 1 აცრა);

პირებმა, რომლებიც ვაქცინირებულნი იყვნენ სინოფარმის (BBIBP-CorV) და სინოვაკის (CoronaVac) ვაქცინების ორი დოზით, მიიღეს ასევე Pfizer ან Moderna ერთი დოზა და გასულია 7 დღე“, – აღნიშნულია განცხადებაში.

საფრანგეთში შესასვლელად სავალდებულოა ე.წ. ბუსტერდოზაც, თუ ვაქცინის მეორე დოზიდან გასულია 7 თვეზე მეტი. ბუსტერის გარეშე, პირი არ ჩაითვლება სრულად ვაქცინირებულად და მასზე გავრცელდება ის პირობები, რაც მოცემულია ქვემოთ, არავაქცინირებულებისთვის. ამასთან, საფრანგეთში შესვლის მომენტისთვის, ბუსტერდოზიდან არ უნდა იყოს გასული 9 თვეზე მეტი. აცრილი პირების მიმართ დადგენილი ნორმები ვრცელდება მათ თანმხლებ არასრულწლოვანებზე, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი აცრილნი. თუმცა, თუ ბავშვი არ არის აცრილი, 12 წლიდან მაინც სავალდებულოა PCR ტესტის ან ანტიგენზე დაფუძნებულიტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენა. ვაქცინირებულმა პირებმა, ვაქცინაციის სერთიფიკატისა და ბოლო 48 საათში ჩატარებულ PCR ან ანტიგენ ტესტის უარყოფითი პასუხის გარდა, უნდა წარადგინონ შევსებული და ხელმოწერილი დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ბოლო 14 დღის განმავლობაში, არ ჰქონიათკონტაქტი კოვიდინფიცირებულთან და ბოლო 48 საათის განმავლობაში, არ გამოვლენიათ COVID-19 ინფექციისათვის დამახასიათებელი სიმპტომები.

ამ ეტაპზე, ქართული კოვიდსერთიფიკატის ონლაინ გადაცვლა შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტებისთვის. სხვა პირებს კი ქართული კოვიდსერტიფიკატის ფრანგულ კოვიდ პასპორტზე გადაცვლის შესაძლებლობა აქვთ საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე აფთიაქებში. მოქალაქეებმა უნდა წარადგინონ პასპორტი და ვაქცინაციის სერთიფიკატი – მატერიალური ფორმით.

სერთიფიკატი არ საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას. მომსახურება ფასიანია, ხოლო აფთიაქების სია, სადაც შესაძლებელია ამ სერვისის მიღება, ხელმისაწვდომია საფრანგეთის ჯანმრთელობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

კოვიდვაქცინის გარეშე შესვლის პირობები:

წითელი ზონიდან არავაქცინირებული პირის საფრანგეთში გამომგზავრება დაშვებულია მხოლოდ მითითებულ გამონაკლის შემთხვევებში:

1. საფრანგეთის მოქალაქე, ასევე, მისი პარტნიორი (დაქორწინებული, სამოქალაქო კავშირშიმყოფი (Pacs e, Concubinage) და მათი შვილები;

2. ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნების მოქალაქე, ასევე, მისი პარტნიორი დაქორწინებული, სამოქალაქო კავშირში მყოფი (Pacsée, Concubinage) და მათი შვილები, რომელთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილია საფრანგეთში;

3. პირები, რომლებიც ფლობენ საფრანგეთის ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქმედ ბინადრობის ნებართვას ან გრძელვადიან ვიზას და რომელთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილია საფრანგეთში;

4. პირები, რომლებიც ფლობენ ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ გრძელვადიან ვიზას, ასევე, ლტოლვილის, სუბსიდიური დაცვის ან აპარტრიდის სტატუსის მქონე პირთა ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ გრძელვადიან ვიზას;

5. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტირების სექტორში დასაქმებული პირები ანსატრანსპორტო სერვისების შემსრულებლები, მათ შორის, მძღოლები რომლებსაც გადააქვთ საქონელი აღნიშნული ტერიტორიის მიმართულებით;

6. პირები, რომლებიც დიპლომატიურ ან საკონსულო საქმიანობას ახორციელებენ, ან იმ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები არიან, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს საფრანგეთში, ასევე, მათი მეუღლეები და შვილები;

7. 24 საათზე ნაკლები დროით საერთაშორისო ზონაში მყოფი მგზავრი, ტრანზიტის განსახორციელებლად.

აღნიშნულმა პირებმა საზღვარზე უნდა წარადგინონ:

– ბოლო 48 საათში ჩატარებული PCR ტესტის ან ანტიგენზე დაფუძნებული ტესტის უარყოფითი პასუხი;

– შევსებული და ხელმოწერილი ორი დეკლარაცია, იმის შესახებ, რომ ბოლო 14 დღის განმავლობაში არ ჰქონიათ კონტაქტი კოვიდინფიცირებულთან და ბოლო 48 საათის განმავლობაში, არ გამოვლენიათ COVID-19-ის დამახასიათებელი სიმპტომები, 7 დღის მანძილზე დარჩებიან თვითიზოლაციაში და იზოლაციის ბოლოს, საკუთარი ხარჯებით, ჩაიტარებენ PCR ან ანტიგენ ტესტს.

ენმ რუსთავის შუალედურ არჩევნებზე დეპუტატობის კანდიდატად დიმიტრი შაშკინს დაასახელებს

რაში დაარწმუნა ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი – ექსკლუზივები ენმ-ს კულუარებიდან

ნინო დოლიძე

საახალწლო ეიფორიიდან მხოლოდ საზოგადოება კი არა, პოლიტიკური სპექტრიც გამოვიდა და შესაბამისად, პოლიტიკური დუღილის ტემპერატურაც იწევს. მართალია, ამ მხრივ, ჯერ განსაკუთრებული არფერი მომხდარა, მაგრამ იმის კონტურები, რომ გაზაფხულზე პროცესები კულმინაციას მიაღწევს, აქედანვე ჩანს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე ცნობილია, რომ მიმდინარე წლის 2 აპრილს, ორ დიდ ქალაქში – რუსთავსა და ბათუმში, შუალედური არჩევნები გაიმართება. კერძოდ, რუსთაველები პარლამენტის მაჟორიტარს აირჩევენ, ბათუმელები კი – საკრებულოს წევრს. სხვა დროსა და ვითარებაში, შუალედურ არჩევნებს ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ ახლა, როცა ოპოზიცია ნებისმიერ არჩევნებს გადამწყვეტს უწოდებს, უდავოა, რუსთავისა და ბათუმისთვის ბრძოლაც ცემა-ტყეპისა თუ არა, მწვავე დაპირისპირების ფონზე ჩაივლის, მით უმეტეს, რომ ოპოზიციას დაპირისპირებისთვის საბაბი უკვე მიეცა ანუ ცნობილი გახდა, რომ პროკურატურა ენმ-ს წევრს, დავით კირკიტაძეს, რომელიც 2020-ში, რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოდა, პროკურატურამ ბრალი წაუყენა. კერძოდ, საუბარია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის კამპანიის დროს მომხდარ ინციდენტზე, რა დროსაც დავით კირკიტაძის, როგორც მერობის კანდიდატის ოფისთან, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

დავით კირკიტაძე მიიჩნევს, რომ პროკურატურა პოლიტიკურადაა ანგაჟირებული, ესე იგი, ბრალი იმიტომ წარუდგინა, რომ შუალდურ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვას. სხვათა შორის, დავით კირკიტაძე ენმ-ს მაჟორიტარობის კანდიდატად ოფიციალურად არ დაუსახელებია და ბრალის წაყენების შემდეგ, როგორც „ვერსიისთვის“ ხდება ცნობილი, არც დაასახელებს.

ამასთან, „ვერსიას“ წყარო ენმ-დან ექსკლუზიურად ეუბნება, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატად დიმიტრი შაშკინს წარადგენს.

„შეიძლება, ვინმემ სხვანაირად გაიგოს, მაგრამ პირადად ჩემთვის, როგორც ენმ-ს ერთი, რიგითი ამომრჩევლისთვის, შაშკინი კირკიტაძეზე ბევრად ძლიერი კანდიდატურაა. ზოგადად, შაშკინი სტარტეგია, კირკიტაძე კი, ჩემი გადასახედიდან, ჩვეულებრივი პარტაქტივისტია და მეტი არაფერი“, – ამბობს „ვერსიასთან“ წყარო ენმ-დან, რომელიც არც იმას მალავს, რომ ყოფილ მმართველ პარტიაში, შიდა ომი მიმდინარეობს და კლანები ერთმანეთის ჩაძირვაზე მუშაობენ.

ენმ-ში პარტიული დაპირისპირება ახალი არ არის და აქამდეც ითვლებოდა, რომ იგივე კირკიტაძე ენმ-ში, ვანო მერაბიშვილის ფრთის წარმომადგენელია. სხვათა შორის, შს ყოფილი მინისტრი, დიდი ხანია, პოლიტიკურ ავანსცენაზე არ გამოჩენილა. სხვადასხვა ვერსიით, მერაბიშვილი ამჟამად უკრაინაში იმყოფება. ამასთან, „ვერსიას“ კომპეტენტური წყარო ეუბნება, რომ პიროვნება, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლაში დაარწმუნა, სწორედ შს ექსმინისტრია.

„ვანოსა და მიშას შორის შავმა კატამ დიდი ხნის წინ გაირბინა, ამის შესახებ, მგონი, ბავშვმაც კი იცის, მაგრამ მერაბიშვილს სააკაშვილისთვის ის ვერ უპატიებია, რომ ციხეში, პრაქტიკულად, უპატრონოდ მიატოვა. ამიტომაც, მას ერთგვარი შურისძიება ამოძრავებდა ანუ მერაბიშვილმა მიშას ასეთი სურათი დაუხატა, აი, საქართველოში რომ ჩახვალ, კი დაგიჭერენ, მაგრამ შენს დასაცავად მთელი ქვეყანა ქუჩაში დედაწულიანად გამოვა და ციხეში ჯდომა, ჰა-ჰა, ორი თვე მოგიწიოს, ხელისუფლება ხალხის ზეწოლას ვერ გაუძლებს და გაგათავისუფლებსო. მიშა, ახლა, ალბათ, ხვდება, რომ ვანომ „აჭამა“ და ციხეში „ჰა-ჰა ორი თვე კი არა“, კაი 6 წელიც იქნება, მაგრამ რაღას იზამს? – ბედს უნდა შეეგუოს, თუმცა ისეთ ილუზიას ქმნის, რომ თითქოს პარტია მის განსათავისუფლებად იბრძვის. სინამდვილეში, ენმ-ს ლიდერშიფის უმეტესობას მიშას თავისუფლება სულ არ ანაღვლებს“, – უყვება „ვერსიას“ წყარო და დასძენს, რომ იგივე კირკიტაძის მაჟორიტარობის კანდიდატობა მერაბიშვილის სცენარი იყო, ანუ შს ექსმინისტრი ცდილობს, რომ ყოფილ მმართველ პარტიაში ძველი პოზიციები აღიდგინოს და საკვანძო პარტიულ თანამდებობებზე თუ ვერ მოახერხებს, თავისი ხალხი იგივე პარლამენტში მაინც შეიყვანოს.

გასაკვირი არ არის, რომ მერაბიშვილი ძველი დიდების დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ ამჯერად, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ანუ როგორც ზემოთ ვთქვით, „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ენმ რუსთავის შუალედურ არჩევნებზე კანდიდატად დიმიტრი შაშკინს წარადგენს.

ვინ არის დიმიტრი შაშკინი? – სანამ ენმ-ს მთავრობის წევრი გახდებოდა, ის „ენჯეოშნიკი“ იყო. როგორც კულუარებში ამბობენ, შაშკინი თავიდან ბოლომდე პროდასავლელია და შესაბამისად, იგივე ენმ-ს დასავლელი პარტნიორები მას ოპოზიციაში ყველაზე საიმედო დასაყრდენად მიიჩნევენ.

სხვათა შორის, შაშკინი პოლიტიკურად მაინცდამაინც არ აქტიურობს ანუ განცხადებებს წარა-მარა და ყველაფერზე არ აკეთებს. ის მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა საკითხი საკვანძოა. ასეთი საკითხი კი, როგორც წესი, საგარეო პოლიტიკა, განათლების სფერო ან იგივე არჩევნებია.

სხვათა შორის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში შაშკინი აქტიურად იყო ჩართული, განსაკუთრებით, ქვემო ქართლის რეგიონში და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მმართველი პარტიის სპიკერებმა ის, სხვებთან ერთად, პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულეს.

„კრიმინალური ოპოზიცია გეგმავს საარჩევნო უბნებზე დესტრუქციული ქმედებების განხორციელებას. ამ მიზნისთვის მათ ივნისიდან, სხვადასხვა რეგიონებში, ჩამოაყალიბეს ყოფილი ძალოვნების (შსს-ს ყოფილ თანამშრომელთა, ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა) ჯგუფები. ჯგუფები დაყოფილია შემდეგი პრინციპით: ოცეულები, ათეულები და მათი ხელმძღვანელები ე.წ. „სარდლები“... ახალი და კიდევ უფრო დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, ეს ადამიანები არიან ვანო მერაბიშვილი, დიმიტრი შაშკინი, დევი ჭანკოტაძე, ტარიელ აბუაშვილი, ვარლამ (ვალერი) ლორთქიფანიძე, შენგელი (ვიტალი) ბექაური, არჩილ ომიაძე, ბესო ნადირაძე“, – დაწერა 2020 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ირაკლი კობახიძემ სოციალურ ქსელში.

ერთი სიტყვით, დიმიტრი შაშკინი ქართულ პოლიტიკაში „შემთხვევით მოხვედრილი“ არ არის ანუ ის შეიძლება, ვინმეს მოსწონს და ვინმეს – არა, მაგრამ შაშკინი იგივე ენმ-თვის ერთგვარი გრანტია, რომელსაც პარტია გადამწყვეტ მომეტში იყენებს ხოლმე.

ასე იყო, მაგალითად, „ნაციონალების“ მმართველობის დროს, როცა შაშკინი ჯერ სასჯელაღსრულების, შემდეგ კი განათლების მინისტრად დაინიშნა. ალბათ, გახსოვთ, მაშინ ერთი ამბავი ატყდა, სასჯელაღსრულების ყოფილ ხელმძღვანელს განათლებაში რა უნდაო, მაგრამ დიმიტრი შაშკინის სახელს უკავშირდება ისეთი რეფორმების გატარება, როგორიც, მაგალითად, მანდატურის ინსტიტუტია. მართალია, სკოლებში მანდატურების გამოჩენას თავიდან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, მაგრამ დღეს ითვლება, რომ მანდატური სკოლებში სიმშვიდის გარანტიაა. ესე იგი, დრომ აჩვენა, რომ ის, რისთვისაც, თავის დროზე, შაშკინს აკრიტიკებდნენ, ცუდი კი არა, პირიქით, კარგი ყოფილა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ რუსთავის შუალედური არჩევნები ოპოზიციისთვის გადამწყვეტი იქნება, ენმ-ს მხრიდან დიმიტრი შაშკინის კანდიდატურის დასახელება, მართლაც, გონივრული ნაბიჯია. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შაშკინი წარმოშობით უკრაინელია და უკრაინის მოსალოდნელი ოკუპაციის ფონზე, იგივე ოპოზიციამ საერთაშორისო ასპარეზზე ეს ფაქტორიც, მინიმუმ პიარისთვის, შესაძლოა, კარგად გამოიყენოს.

გარდა ამისა, თუ არჩევნების გაყალბებაზე მიდგა საქმე, დიმიტრი შაშკინი, როგორც დეპუტატობის კანდიდატი, თავისი ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვებზე გაცილებით ადვილად შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ არჩევნები გაყალბდა ანუ ის მხოლოდ ვერბალურ განცხადებებს კი არ გააკეთებს, არამედ, დოკუმენტურ ფაქტებსაც წარმოადგენს. ოპოზიციის უმთავრესი პრობლემა კი, მოგეხსენებათ, ისაა, რომ არჩევნების გაყალბებაზე მარტო ლაპარაკობს და იგივე სასამართლოსა თუ პროკურატურაში წასვლას იშვიათად ფქირობს ხოლმე, რადგან დოკუმენტური მტკიცებულებები არ აქვს...

„ვერსიის“ წყარო ენმ-დან ამბობს, რომ პარტია დიმიტრი შაშკინს რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატად, ოფიციალურად, თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში წარადგენს. არავინ იცის, ამ ერთ თვეში პროცესები როგორ განვითარდება, თუმცა ჩვენი წყარო, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ამბობს, რომ შაშკინთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება რევიზიას არ დაექვემდებარება, თუმცა მაინც, დაველოდოთ, რა და როგორ მოხდება.

ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი მძარცველი ნიკა გვარამიაა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დღევანდელი პოლიტმოცემულობა ასეთია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი საპყრობილეშია, პარტიამ კი საპარლამენტო ბოიკოტი შეწყვიტა და გადაწყვიტა, სადეპუტატო ტრიბუნა გამოიყენოს. პოლიტიკურად ნაკლებად აქტიურობენ ე.წ. პატარა პარტიებიც, რომელთაგან ერთ-ერთის, კერძოდ, ქართული დასის ლიდერმა, ჯონდი ბაღათურიამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილს საქართველოში პოლიტიკური მომავალი არ აქვსო. ბაღათურიასგან ეს განცხადება, ალბათ, არავის გაჰკვირვებია, რადგან ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, პარლამენტში, ლამის ერთადერთი ოპოზიციონერი იყო. რის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სააკაშვილს საქართველოში პოლიტიკური მომავალი არ გააჩნია? – „ვერსია“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა:

რატომ ვერ ახერხებენ ე.წ. პატარა პარტიები გაერთიანებას და რაში ხედავს გამოსავალს ქართული დასის ლიდერი

– სააკაშვილს შეუქმნეს განცდა, ჯერ კიდევ ისეთი პოპულარული ხარ, თუ საქართველოში ჩამოხვალ და დაგაკავებენ, ხალხი აღშფოთდება და ქუჩაში გამოვაო. საერთოდ, ამ წლების განმავლობაში, გარემოცვა ცდილობდა, ფული დაეცინცლა სააკაშვილისთვის და მუდმივად აქციებსა და დესტრუქციულ მოქმედებებს გეგმავდა მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა, ხალხი ქუჩაში არ გამოდიოდა. სააკაშვილი აფინანსებდა არა მხოლოდ ამ აქციებს, არამედ, რამდენიმე ტელევიზიასაც და შესაბამისად, ვფიქრობ, სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი მძარცველი ნიკა გვარამიაა, რომელიც, ალბათ, არწმუნებს, პრესპექტივა და მომავალი გაქვსო. თუ პოლიტიკასა და ჟურნალისტიკაში ერკვევი, უფრო მეტი ჭკუა უნდა გქონდეს და იცოდე, რომ სააკაშვილის დასაცავად და ციხიდან გამოსაყვანად 1000-2000 კაცზე მეტს ვერ გამოიყვან და თუ ძალიან ბევრ ფულს დახარჯავ, შეიძლება, 4000-მდე გამოიყვანო, მაგრამ ხალხი, რომელიც ფულის გამო მიდის აქციაზე, ხელისუფლებასთან საჭიდაოდ არ გამოგყვება. ამას იდეა, პატრიოტიზმი სჭირდება, სააკაშვილი კი ამ ქვეყნის მტერია. მისი ყველა მოქმედება ქვეყნისა და ეკლესიის წინააღმდეგაა მიმართული. შეხედეთ, რას აკეთებენ მისი ტელევიზიები და ესაა მისი სახე.

– ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში თქვენ მიერ დასახელებულ რიცხვზე გაცილებით მეტ მხარდაჭერას იღებს, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ადამიანები, რომლებიც ამ პარტიას ხმას აძლევენ, საპროტესტო აქციაზე არ გამოდიან. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– არჩევნების გაყალბება არა მხოლოდ ბიულეტინების ჩაყრითა და სხვა პარტიების ხმების გადანაწილებით ხდება, არამედ, მანამდე, საარჩევნო აზრი ყალბდება. ის რაოდენობა, რაც აღებული აქვთ, არაა მათი ხმები. ნაწილი დამატებულია ტრადიციული გაყალბების გზით, მაგრამ ძირითადი ნაწილი ყველაზე პრიმიტიული პოლიტტექნოლოგიის გზითაა მიღებული, რასაც „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა აკეთებენ. ერთმანეთის სიძულვილით იღებენ ხმებს ეს პარტიები ანუ მათ შუა გაკრიფეს და ხალხს აჩვენებენ, რომ სხვა ალტერნატივა არაა და როცა ამომრჩეველი „ოცნებაზე“ გაბრაზებულია, ის მთავარ შურისმაძიებელსა და რევანშისტს მიშას სახით ხედავს და ხმას იმიტომ აძლევს, თორემ მისი მომხრე არაა და არც მიტინგებზე მივა. ამომრჩევლის დიდი ნაწილი, რომელიც „ოცნებამ“ დაკარგა, ლოგიკურად, „ქართული დასისკენ“ უნდა წამოსულიყო, მაგრამ მიშასკენ წავიდა, რაც ალოგიკურია, მაგრამ კლასიკური გაგებით, ამას ჰქვია საპროტესტო ელექტორატი, რომელიც ყალიბდება ორი პოლუსის სიძულვილის მიმართ.

– გასაგებია, მაგრამ მცირეამომრჩევლიანი პარტიების, მათ შორის, თქვენს პასუხისმგებლობას ვერ ხედავთ ანუ თუ ხედავთ, რომ პოლიტიკური ველი ისევ მაქსიმალურად პოლარიზებულია, რატომ არ ერთიანდებით და რატომ არ აქტიურობთ?

– გეთანხმებით, რომ ვერ ხერხდება დაბალრესურსიანი პარტიების გაერთიანება და ეს, რა თქმა უნდა, ამ პარტიების პასუხისმგებლობაცაა, თუმცა როგორი გაერთიანებაც უნდა შეიქმნას, ამის უკან უნდა დადგეს მნიშვნელოვანი კაპიტალი... საერთოდ, იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა არჩევნებში ფულმა, რომ წინასაარჩევნო კამპანია კლასიკურ სარეკლამო კამპანიად გადაიქცა, რომელიც ტყუილზეა აგებული, ოღონდ ამ ტყუილს მაქსიმალურად დიდხანს ტირაჟირება სჭირდება და ტელევიზიებიც გადანაწილებულია. ამომრჩეველი „ქართულ დასს“ ვერ ხედავს, არ ისმის ჩვენი ხმა არა მხოლოდ სარეკლამო კამპანიაში, უბრალოდ, საინფორმაციო ველშიც, რაც უნდა პოზიტიური, საინტერესო იდეით გამოხვიდე, არავინ გაგიშუქებს. აშუქებენ მხოლოდ იმას, როცა გამოვა რომელიმე „მიშისტი“, იტყვის მოღალატეობრივ სიბინძურეს, სისულელეს და ამაზე საუბრობენ მთელი დღე.

– მოკლედ, მცირე პარტიებს დამფინანსებელი არ გყავთ, ფული არ გაქვთ და მთელი პრობლემა ესაა?

– უფრო კარგად ჩამოვაყალიბებ – ქართული ბიზნესი ქართულ პოლიტიკაში ფულს არ დებს, ეს არის ქართული პოლიტიკის უბედურება. ქართველი ბიზნესმენები ისევე უპასუხისმგებლოდ იქცევიან, როგორც ქართველი პოლიტიკოსები. ქართველი პოლიტიკოსების ღალატი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდა. გადახედეთ პოლიტიკური სპექტრის გუშინდელ და დღევანდელ განცხადებებს. რამდენი ჩემი კოლეგა მიშას ქვეყნის მოღალატეს და მტერს უწოდებდა და დღეს კი მიშასთან ერთად ხედავს პოლიტიკურ მომავალს. ასეთი პოლიტიკური სპექტრი მართავს ქვეყანას. ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები ქართულ საზოგადოებას არ აქვს.

– გამოსავალს რაში ხედავთ? უიმედო ჩანხართ...

– ღმერთმა ნუ ქნას, უიმედო განწყობა მქონდეს. ვცდილობ, გაჩვენოთ, როგორი პოლიტიკური სურათია შექმნილი, თუმცა არ ვხედავ გამოუვალ მდგომარეობას, რესურსს იმაში ვხედავ, რომ პასუხისმგებლიანი პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია მოხდეს, თუმცა აქაც დიდი არჩევანი არ გვაქვს. მკითხველს მივმართავ, გადახედეთ პოლიტიკოსებს, მხოლოდ მათ ნამუსს კი არა, არამედ, ჭკუასაც. ინტელექტი და გამოცდილებაც ხომ საჭიროა?! ვინც ეკრანზე ჩანს, თვალებზე აწერია, რომ ნერწყვი მოსდის და გამგელებულია, რომ ვინმეს რამე წასცინცლოს. პარლამენტში რა კომენტარები კეთდება, რას ლაპარაკობენ, რა კომისიებს ითხოვენ?!

– სააკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივას გულისხმობთ?

– ყველა ინციდენტზე კომისიის შექმნას ითხოვენ იმიტომ, რომ ტვინი არ ჰყოფნით, რამე გონივრული თქვან. მათი მიზანია, ტელევიზიით გაშუქდნენ, ამას კი ინტელექტი სჭირდება. არადა, იმდენი თემაა ერისთვის, ხალხისა და სახელმწიფოსთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებელია, საკმაოდ ეფექტურად თავს დაესხა ხელისუფლებას, არც ერთ ამ თემას არ იყენებენ. ან გონება არ ჰყოფნით, ან მტრები არიან. 10 წელია, წამლის ფასების რეგულაციაზე მაქვს შეტანილი კანონპროექტი, რომელიც ფასებს, დაახლოებით, ოთხჯერ შეამცირებს.

– მთავრობამ ხომ დააანონსა თურქეთიდან წამლების შემოტანა და ამის საფუძველზე მედიკამენტების გაიაფება...

– კი, მაგრამ როცა სერგეენკო მინისტრი იყო, ალტერნატიული წინადადება შემომთავაზა, დაახლოებით, ასეთი, როგორიც ახლა დააანონსეს, რაც არ არის ცუდი ვარიანტი, თუმცა არ იქნება ისეთი ეფექტური, რადგან აქაც შეიძლება კარტელური შეთანხმება მოხდეს. უფრო ეფექტური ჩვენი ინიციატივაა, მაგრამ არ გადაიდგა სათანადო ნაბიჯები.

– ბატონო ჯონდი, როგორია თქვენი პოლიტიკური გეგმები? რიგგარეშე არჩევნების შესაძლებლობას ხედავთ?

– გულახდილად გითხრათ, ჩემი უახლოესი გეგმა პოლიტიკურ სიტუაციაში დეტალური გარკვევაა. არ ვიღებდი პროცესებში მონაწილეობას და არც თვალ-ყურს ვადევნებდი.

რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, ვერ ვხედავ ამის შესაბამის მოცემულობას და ვერც აზრს, რადგან იგივე შედეგი დადგება. როგორც ჩანს, შეეჩვია ჩვენი კოლეგების დიდი ნაწილი, რომ არჩევნების შემდეგ, რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ და რა იცვლება არჩევნებიდან ერთ თვეში, როცა გამოდიან და ყვირიან, ისევ ჩავატაროთ არჩევნებიო? რამე დამატებითი მექანიზმი შეიქმნა, რომ ისევ არ გაყალბდეს არჩევნები? როტაციაა საჭირო პოლიტიკურ სპექტრში. ახალგაზრდები კი ჩნდებიან, მაგრამ თუ წინადადებების ჩამოყალიბება შეუძლიათ, ეს პოლიტიკა ჰგონიათ. ენის ტლიკინი სავსებით საკმარისად მიაჩნიათ, რომ პოლიტიკოსად წარმოიდგინონ თავი და როგორც რუსთაველმა თქვა, „უცილობლობს, ვითა ჯორი“...

– წეღან გკითხეთ და არ მიპასუხეთ: მცირეამომრჩევლიანი პარტიებისთვის გამოსავალს სად ხედავთ?

– მცირე რესურსის მქონე პარტიების გამოსავალი მეტი ჭკუა და რესურსების გაერთიანებაა, მაგრამ ისეთი პარტიები უნდა გაერთიანდნენ, რომელთაც შეკრებადი, მსგავსი იდეოლოგიის ელექტორატი ჰყავთ. საზოგადოებას არჩევანი აქვს და უნდა აირჩიოს, თუ არადა, რასაც დასთეს, იმას მოიმკი. გამოსავალი პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების კონსოლიდაციაშია და თუკი ბიზნესმენები დაინახავენ, რომ რაღაც პერსპექტივა არსებობს, ამის გამოყენებას შეეცდებიან.

გია ვოლსკი: „ნაცმოძრაობამ საქართველო რუსეთის წინაშე დაასუსტა და რუსეთის ბაზები გააძლიერა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საქართველოს პარლამენტმა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია ისე დაამტკიცა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის უმეტესობამ მხარი არ დაუჭირა. ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ რეზოლუციის ტექსტი სრულყოფილად ასახავს იმ პოზიციას, რაც საქართველოს უკრაინის, როგორც სტრატეგიული მეგობრის, მიმართ აქვს. ოპოზიცია კი რეზოლუციის ტექსტს აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლების ე.წ. არგაღიზიანების პოლიტიკა შედეგს ვერ გამოიღებს. ამ და სხვა მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ მმართველი ძალის ერთ-ერთ ლიდერს, პირველ ვიცე-სპიკერ გია ვოლსკის ესაუბრა:

– ბატონო გია, რამდენად მნიშვნელოვანია, რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბული ვითარების ფონზე, საქართველოს მიერ ამ რეზოლუციის მიღება?

– ჩვენსა და უკრაინას შორის რეზოლუციაც არაა საჭირო, რათა ვიცოდეთ, რომ სტრატეგიული პარტნიორები ვართ. ეს პარტნიორობა კი განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ერთგვაროვანი პრობლემები აქვს ამ ქვეყანას, არამედ იმითაც, რომ ჩვენი პოზიციონირება მართალი, სწორი და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მისაღებია. აქედან გამომდინარე, პოზიციის გამოხატვა ამ რეზოლუციით, საგანგებო მნიშვნელობისაა და ჩვენ ეს რეზოლუცია მივიღეთ. სათანადოდ იქნა შეფასებული, როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, ასევე, უკრაინის რადა-ს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებაში.

– ამ რეზოლუციას ოპოზიციის მხრიდან მოჰყვა კრიტიკა. ენმ-მ მხარი არ დაუჭირა და მისი წარმომადგენლები, უკრაინის მხარდასაჭერად, კიევში გაემგზავრნენ. რას იტყვით, ამის შესახებ?

– ზოგი ოპოზიციური პარტია „ნაცმოძრაობის“ ამყოლია. რაც შეეხება თავად „ნაცმოძრაობას“, ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ ამ პარტიამ ასეთ რეზოლუციას არც მხარი უნდა დაუჭიროს და საერთოდ, მასთან ერთად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეზოლუციის მიღება არ არის მართებული. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიების 20%, საქართველომ ყველა სტრატეგიული ობიექტი გაუფორმა რუსეთს, გაერო-ს მისია შეწყდა საქართველოში და უამრავი ასეთი, „რის გამოც“ გაგვაჩნია და ამიტომ, ამ პოლიტიკურ ძალასთან რამე განცხადების მიღება უსაფრთხოების, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხებზე არის ის, რომ „გავათეთროთ“ ის მძიმე წარსული, რაც მან მემკვიდრეობით დაგვიტოვა. ტანკის ლულასთან პირისპირ დატოვეს საქართველო!

საქართველოს საგანგებო მნიშვნელობის გაზგაყვანილობა დატოვეს ოკუპირებული რუსეთის ძალების მიერ. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ გამოიყვანეს ომის დროს, არ მიაქციეს ყურადღება და ბევრი დაიღუპა. უშიშროების საბჭოს არ მიმართეს და რუსეთის ძალების კონცენტრაცია საქართველოს საზღვრებთან იყო იგნორირებული განგებ, ვინაიდან არ არსებობს ადამიანი, ვინც არ ატეხდა განგაშს ამ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც დღეს უკრაინა აკეთებს და ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ. „ნაცმოძრაობამ“ ეს არ გააკეთა, ჩემი აზრით, შეგნებულად და კარტ-ბლანში მისცა რუსეთს. რუსეთის წინაშე საქართველო დაასუსტა, რუსეთის ბაზები გააძლიერა და საქართველო დატოვა ტანკისა და ზარბაზნის ლულის პირისპირ. ახლა კი კეკლუცობს პოლიტიკურად, რომ ავიღოთ ჯოხი და ტანკის ლულას დავუპირისპირდეთ, ეს არის მათი პოზიცია. შორს მიმავალი გეგმები აქვთ, ჩემი აზრით...

– რას გულისხმობთ?

„სააკაშვილს ქვეყნის წინაშე მხოლოდ ძალიან მძიმე სისხლის სამართლის კი არა, მორალური დანაშაულიც მიუძღვის!“

– დაიძაბოს ვითარება იმდენად, რომ მოხდეს საქართველოს შიდავითარების კიდევ უფრო დამძიმება სოციალურად, ეკონომიკურად, არ შემოვიდეს ტურისტი და ინვესტიცია, ლარის კურსი დამძიმდეს და ვერ გამოვიდეს ქვეყანა ეკონომიკური სირთულიდან. კიდევ უამრავი სხვა გეგმა, რამაც შეიძლება, სააკაშვილი დააბრუნოს პრეზიდენტის ტახტზე. სხვა გეგმა და აზრი „ნაცმოძრაობის“ საქმიანობას არ გააჩნია.

– თავის მხრივ, ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ რუსეთის მიმართ „ქართული ოცნების“ მიერ არჩეული ე.წ. არგაღიზიანების პოლიტიკა შედეგს ვერ გამოიღებს და ეს სტრატეგია არასწორია...

– „არგაღიზიანების პოლიტიკას“ რას ეძახიან, არ ვიცი. თუკი სიფრთხილეს იჩენ ამ მონსტრის წინაშე, ეს არგაღიზიანებას არ ნიშნავს. გამყიდველ პოლიტიკას კი ნიშნავს ის, რომ მთელი ეს სტრატეგიული ობიექტები გადაუფორმო რუსეთს, ნამდვილადაა გამყიდველი პოზიცია და თუ არგაღიზიანების პოლიტიკას დაარქმევ, ენას ძვალი არ აქვს, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომელი პარტიიდანაც უნდა იყვნენ, ახალგაზრდები თოფის ქვეშ არ დადგენენ.

– ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და გკითხავთ, თავად ახლა საპყრობილეშია, თუმცა მისი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პოლიტიკურ პროტესტს უფრო მასშტაბურ სახეს მისცემენ და გაამწვავებენ. ამ ფონზე, მოვლენების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?

– რასაკვირველია, ქუჩის პროტესტის განვითარების რესურსი არ გააჩნიათ, რადგან მათი მხარდამჭერი საზოგადოებაც ხედავს, რომ ეს ადამიანები ზრუნავენ, როგორმე ქართულ ოჯახებში შემოვიდეს დაძაბულობის ის ხარისხი, რომელიც უფრო დაამძიმებს ვითარებას. ახლა გადაწყვიტეს, რომ ცხელი წერტილი შექმნან პარლამენტში, მაგრამ არის მეორე საკითხიც – „ნაცმოძრაობის“ პარტიულ აქტივს ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს სააკაშვილის ფაქტორი, ვინაიდან მათ გააჩნიათ გარკვეული ინტელექტუალური რესურსი, იმსჯელონ ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, განათლებაზე და ა.შ. სხვა საკითხია, მე ვემხრობი თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ეს თემა გადაწეულია მათი მოქმედების დღის წესრიგიდან, ვინაიდან შეკვეთა „ბელადისგან“ არის სულ სხვა – იზრუნონ დესტაბილიზაციაზე. იგივე შეკვეთა იყო მისი მხრიდან, როცა ჩამოდიოდა საქართველოში, რათა რევოლუციურ პროცესს ჩასდგომოდა სათავეში. ზუსტი გეგმაც ვიცი – არჩევნები, მისი შედეგების არაღიარება და სააკაშვილის გამოჩენა ქუჩაში, ფიგურალურად რომ ვთქვათ, „თეთრ ცხენზე ამხედრებული“. ეს არ მოხდა, ჩაიშალა და აქედან გამომდინარე, მათი მცდელობა, რომ დესტაბილიზაციის რეჟიმი შენარჩუნდეს, იქნება მუდმივად, არ შეიცვლის არც ზნეს და არც ფერს.

რაც შეეხება საპყრობილეში ყოფნას, გინდ სააკაშვილი იყოს და გინდაც სხვა ვინმე, ვინც ამ სახის დანაშაულები ჩაიდინა, რასაკვირველია, პასუხსაც უნდა აგებდეს იმ კანონების მიხედვით, რაც საქართველოში არსებობს. ხაზს გავუსვამდი, რომ ეს კანონები გაცილებით უფრო რბილია, ვიდრე იმ პერიოდში, როცა სააკაშვილი იყო მმართველობაში. მისი კანონები იყო დრაკონული, შეკრებითობის პრინციპით და მისი კანონებით რომ გვემსჯელა, ალბათ, გაცილებით მეტი სასჯელი ელოდა. გაცილებით უფრო ნაკლები ბრალდებებია წაყენებული მის მიმართ, ვიდრე მან რეალურად ჩაიდინა. არის ერთი სახის დანაშაული, რომელიც არ ვიცი, კოდექსში როგორ ითარგმნება, მაგრამ ნაწამები, ღირსებაშელახული და მიწასთან გასწორებული ადამიანების გარდა, დანაშაული მიუძღვის იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც მან ჩართო სადამსჯელო ოპერაციებში, ადამიანების მიმართ ძალადობის პოლიტიკაში, რომელსაც ატარებდა. დარწმუნებული ვარ, რომ იგივე, მეგის ქარდავას სხვა მომავალი ექნებოდა, რომ არა სააკაშვილის შექმნილი სასტიკი რეჟიმის დაქვემდებარება. სხვა ახალგაზრდებისა, რომლებსაც ადრეულ ასაკში მისცეს ხელში იარაღი და ყველაფრის უფლება, დაეჩაგრა ადამიანი და მოქალაქე. ასე რომ, მას ძალიან მძიმე დანაშაული მიუძღვის არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ, მორალური თვალსაზრისითაც, თავისი ქვეყნის წინაშე!

– ბატონო გია, საზოგადოებას აინტერესებს, როგორ განვითარდება ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?...

– ეს არის მოცემულობა და საზოგადოებას ვეტყოდი, რომ გააკეთოს არჩევანი ასეთი მძიმე ვითარების ავტორებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ეს ქვეყანა უნდა გაიყვანონ სამშვიდობოს. არ დაუჯერონ „ფეიკნიუსებს“, ამ ბოროტი ადამიანების პროპაგანდას. განსაკუთრებით ახალგაზრდებს მივმართავ, სიღრმისეულად გააანალიზონ ვითარება. მართალია, მათ ემოციური კავშირი წარსულთან არ გააჩნიათ, მაგრამ მოიკითხონ, რა ხდებოდა, იყურონ მომავალში და იყვნენ ენთუზიაზმით სავსენი. ბევრი ისწავლონ, იმუშაონ და არ დაუჯერონ არავის, თუკი რომელიმე პოლიტიკური ძალა მათ არ სთავაზობს გამოსავალს იმ ვითარებიდან, რაც, სამწუხაროდ, შეიქმნა არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში.

მიხეილ რამიშვილს ქონების წართმევით ემუქრებიან!

რა სიახლეებია „ციანიდის საქმეში“ 5 წლის შემდეგ – სკანდალური ინტერვიუ სკანდალურ ადვოკატთან

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„ციანიდის სკანდალიდან“, რომელსაც შეგვიძლია, „საუკუნის საქმეც“ ვუწოდოთ, 5 წელი გავიდა. ყველას, ალბათ, მეხის გავარდნასავით ახსოვს დილა, როცა ცნობილი გახდა, რომ მაღალი სასულიერო პირის ციანიდით მოკვლას მღვდელი ცდილობდა, თუმცა მოგვიანებით, სასამართლოზე გაირკვა, რომ მოწამვლის ობიექტი პატრიარქის მდივან-რეფერენტი, შორენა თეთრუაშვილი იყო. დეკანოზი გიორგი მამალაძე პროკურატურამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 2017 წლის 10 თებერვალს, მაშინ დააკავა, როცა ბერლინში გამგზავრებას ცდილობდა. იმხანად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ოპერაციას სწორედ გერმანიაში უკეთებდნენ, სადაც იმყოფებოდა მისი მთარგმნელ-რეფერენტი, შორენა თეთრუაშვილიც. პროკურატურამ გაავრცელა ცნობა, რომ დეკანოზის ბარგში მომწამვლელი ნივთიერება – „ნატრიუმის ციანიდი“ იპოვეს. მალევე, ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის ჩვენებაზე დაყრდნობით, საგამოძიებო ორგანომ თქვა, რომ დეკანოზმა ჟურნალისტს ციანიდის შოვნაში დახმარება სთხოვა. ირაკლი მამალაძე ჩვენებაში აცხადებდა, რომ დეკანოზის მიზანი მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობა იყო. მოგვიანებით, პროკურატურამ განმარტა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე შორენა თეთრუაშვილის მკვლელობას გეგმავდა. საგულისხმოა, რომ ამ დრომდე არ არის გარკვეული, ვისგან, სად და რა ვითარებაში შეიძინა გიორგი მამალაძემ ციანიდი. 2017 წლის სექტემბერში, სასამართლომ გიორგი მამალაძე მკვლელობის მომზადებაში დამნაშავედ სცნო და ცხრაწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ამასთან, მოსამართლემ ბრალდების კვალიფიკაცია შეცვალა და დეკანოზს ანგარებით მკვლელობის მუხლი მოუხსნა. დეკანოზი, ასევე, დამნაშავედ სცნეს იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვაში. თავად ბრალდებული განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებია.

განაჩენის თანახმად, გიორგი მამალაძე ამზადებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მდივნის, შორენა თეთრუაშვილის მკვლელობას. ამ ბრალდებასა და სასამართლო გადაწყვეტილებას კატეგორიულად უარყოფენ გიორგი მამალაძის ადვოკატები და რადგან საქართველოში სამართალს ვერ მიაღწიეს, „ციანიდის საქმე“ სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნეს. „ვერსია“ „ციანიდის სკანდალზე“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატ მიხეილ რამიშვილს ესაუბრა, რომელიც ამბობს, რომ გახმაურებულ საქმეებში ჩართულობის გამო, უძრავი ქონების ჩამორთმევით ემუქრებიან.

– ბატონო მიხეილ, „ციანიდის სკანდალი“ საუკუნის საქმედ მიგაჩნიათ?

– რა თქმა უნდა, ეს საუკუნის საქმეა, რადგან იმ ფონზე, როცა დეკანოზს უკანონოდ წაუყენეს ბრალი, ჩვენ, ადვოკატები ვსაუბრობდით, თუ რა ხდებოდა, რა სივრცესა და გარემოშია დღეს ჩვენი ეკლესია და ამის გამო, ჩვენს მიმართ ყოველთვის წინააღმდეგობა იქმნებოდა, თუმცა ამ ფაქტებს ნათელი მოეფინა, როცა სუს-იდან გამოჟონა ჩანაწერებმა. მაშინ გამოჩნდა, რომ დიახ, ეს საუკუნის საქმეა, რომელიც იყო საწყისი იმ უბედურებისა და უზნეობებისა, რაც ჩვენდა საუბედუროდ, დიდი დოზით არსებობს ეკლესიასა და საპატრიარქოში.

– სანამ მაშინდელ მოვლენებს გავიხსენებთ, მითხარით, მსჯავრდებული დეკანოზი თავს როგორ გრძნობს?

– ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. წევს და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, თუმცა რა მიზანიც ჰქონდათ, რომ ფატალური შედეგი დამდგარიყო, არ ასრულდა, რადგან ღმერთი არავის გასწირავს იმიტომ, რომ სამართლიანობისთვის იბრძოდა და სამართლიანობის საწყისზე მოხდა ყველაფერი ეს. დღევანდელი მდგომარეობა, ადრე თუ გვიან, დასრულდება, როცა გონს მოეგება პრეზიდენტი, რომელმაც არაფრით შეიწყალა დეკანოზი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს იყო დავალება, არ შეეწყალებინა. მოგეხსენებათ, რა კატეგორიის ადამიანებს იწყალებენ და ამ ფონზე მამაო არ შეიწყალეს. საპატრიარქოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მხრიდანაც არ არის დაინტერესება, რომ თავიანთი სულიერი ძმის მდგომარეობა გაიგონ და ნახონ, როგორ არის...

– რა სიახლეა სტრასბურგის სასამართლოდან, სადაც გასაჩივრებული გაქვთ დეკანოზის საქმე?

– დავით ჯანდიერმა გაასაჩივრა სტრასბურგში ყველა იმ მასალაზე დაყრდნობით, რაც ჩვენს მიერ იყო მოპოვებული. სექტემბერში მოითხოვეს, რომ კითხვებზე პასუხი გაეცა სახელმწიფოს. შესაბამისად, ეს პროცედურა მიმდინარეობს და დადგება საქართველოს ხელისუფლება იმ ფაქტის წინაშე, რომ ვერასდროს გასცემს პასუხს იმ კითხვებს, რასაც კანონიერებას უწოდებს. გარდა იმისა, რომ უკანონობას სჩადიოდა, ამ უკანონობის შემოქმედები ახლა მოსამართლეები არიან, რაც აბსურდია!

– საინტერესოა, სასულიერო პირები ნახულობენ თუ არა დეკანოზს საპყრობილეში? – მაგალითად, ვნახეთ, რომ მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა მიხეილ სააკაშვილი არაერთხელ მოინახულა ციხეში და მისი მონასტერში გადაყვანის იდეაც კი გააჟღერა...

– არ ვიცი, შეიძლება, შედიოდნენ, ვთქვათ, 6 თვეში ერთხელ, მაგრამ ამას მონახულებას არ ვეძახი. პირდაპირ დავალებაა, რომ რაღაცნაირად, დეკანოზის საქმე მიჩუმათდეს და აღარავის ახსოვდეს...

– დავალება ვისგანაა?

– სახელმწიფოსა და გარკვეული სასულიერო პირებისგან, რომლებიც ერთად იყვნენ და დღესაც არიან. ამას ადასტურების სუს-დან გამოჟონილი ფაილებიც, სასულიერო პირებს ერთმანეთთან რაზე და რა საუბრები აქვთ! ნათელია: ესაა დიდი ჯგუფი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ სახელმწიფო დაანგრიოს!

– ბატონო მიხეილ, გიორგი მამალაძე ადრე მედიასთან კონტაქტობდა და მეც მქონდა ექსკლუზიური ინტერვიუ. ჟურნალისტებთან ურთიერთობა რატომ გაწყვიტა?

– არ ვიცი, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა.

– მოდით, „ციანიდის სკანდალის“ დასაწყისი გავიხსენოთ: დეკანოზის დაკავებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატრიარქი გადაარჩინეს...

– როგორც კი დააკავეს დეკანოზი, მაღალი თანამდებობის პირებმა ჩაატარეს ბრიფინგები, გადავარჩინეთ პატრიარქი, რადგან მისი მკვლელობა იგეგმებოდაო. არადა, 10 თებერვალს, როგორც კი დააკავეს, უკვე ჰქონდა წაყენებული ბრალი შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებისთვის.

– ანუ, ეს მაღალჩინოსნებმა იცოდნენ, მაგრამ მაინც პატრიარქის საფრთხეზე საუბრობდნენ?

– დიახ, რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, დაკავებიდან სამი დღის შემდეგ, უკვე როგორ ატყუებდნენ მთელ საზოგადოებას, რომ თურმე, ქვეყანა გადაარჩინეს... საკუთარი ავტორიტეტის ასაწევად ტყუილს ამბობდნენ, რადგან სასულიერო კი არა, საჯარო პირის მკვლელობის მცდელობა ჰქონდა ბრალად წაყენებული.

– ადვოკატი ხართ და გასაგებია, რომ თავიდანვე ცდილობდით დეკანოზის უდანაშაულობის დამტკიცებას, თუმცა რას იტყვით იმ კადრებზე, რომლებიც საზოგადოებას, ალბათ, კარგად ახსოვს და რომლებშიც გიორგი მამალაძე ციანიდსა და მისი მოპოვების გზებზე საუბრობს?

– საერთოდ, ნებისმიერი ისტორია, ფაქტი, ვიდეოჩანაწერის სახით სრულად თუ არ ნახე, რომელსაც ირაკლი მამალაძე, გარკვეულწილად, დავალებებით ახორციელებდა, მანამდე ვერ დარწმუნდები. ამას კი ცოტა სხვანაირი ინტელექტი და აზროვნება სჭირდება – სხეულის ენის ცოდნა, ჟესტიკულაციის და ა.შ.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მაშინ, რაც საზოგადოებას ანახეს, ყველაფერი იყო დაჩეხილ-დამონტაჟებული. იმის ფონზე, რომ დეკანოზის დაკავებიდან 3 დღეში, უკვე სიცრუეს საუბრობდნენ, თუ ვინმეს კიდევ კითხვა გაუჩნდება დეკანოზის დანაშაულზე, ეს მის ინტელექტზეა დამოკიდებული.

– რა მიგაჩნიათ ხელჩასაჭიდად იმისთვის, რომ სტარსბურგის სასამართლოში საქმე მოიგოთ?

– დავით ჯანდიერმა, ჩვენს მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები დეკანოზის უდანაშაულობის თაობაზე, სრულყოფილად წარადგინა სტრასბურგში და ამ მტკიცებულებების საფუძველზე, სტრასბურგის გადაწყვეტილებით გამოჩნდება განაჩენის უკანონობა. ძალიან დიდი ბრძოლა გავწიეთ, როცა ბრალდების მხარეს სასულიერო პირებთან ერთად ჰქონდა აღებული სტრატეგია, რომ მოეტყუებინა საზოგადოება და არარსებულში დაერწმუნებინა, ამ ფონზე, ჩვენ – ადვოკატებმა ყველაფერი გავაკეთეთ და ამიტომ სტრასბურგის სასამართლომ მოითხოვა კითხვებზე პასუხები სახელმწიფოსგან.

– ბატონო მიხეილ, რამდენად რთული იყო ეს საქმე თქვენთვის და დაცვის მხარემ მაქსიმუმი გააკეთეთ დეკანოზის გასათავისუფლებლად?

– დიახ, მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ არ შემიძლია, ხაზი არ გავუსვა მასმედიის წვლილს ამ საქმეში, რომელმაც უდიდესი მხარდაჭერა გვაჩვენა და სამართლიანად აჟღერებდა ინფორმაციას. მაქსიმუმი გავაკეთეთ იმ გარემოში, როდესაც ყველანაირად შეზღუდული ვიყავით. ყველა ადვოკატს, ჩემს გარდა, გაუთქმელობაზე ხელწერილი ჰქონდა ჩამორთმეული, თუმცა ადვოკატები მაინც ახერხებდნენ საზოგადოების ინფორმირებას, შეძლებისდაგვარად. პირადად მეც, რადგან ხელი არ მქონდა მოწერილი გაუთქმელობაზე, მაქსიმალურად ვაწვდიდი საზოგადოებას ინფორმაციას. არ შეიძლება, ტყუილში ამყოფო ხალხი და არწმუნო, რომ არშემდგარი დანაშაულისგან გადაარჩინე! ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ მოსამართლემ შეძლო და ოქროს შუალედი მოძებნა, რაშიც ბრალი ჰქონდა წაყენებული, იმის დამტკიცება არ ხდებოდა და მუხლის გადაკვალიფიცირება მოახერხა. სხვა გამოსავალი ვერ ნახეს, რადგან პირდაპირ იყო ბრძანება, რომ გამართლება არ მომხდარიყო.

...მთელი უბედურება ისაა, რომ „ციანიდის სკანდალს“ მოჰყვა ბაჩალიაშვილის საქმე და ამის გამო, დღესაც ცდილობენ, ყველანაირად შეზღუდული ვიყო და არ გაგიკვირდეთ, თუ მალე გაიგებთ, რომ ჩემს პირად ქონებასაც მიადგნენ და ცდილობენ, რომ რამენაირად წამგლიჯონ.

– რას გულისხმობთ, ბატონო მიხეილ?

– მალე გაიგებს ყველა, რაზეც ვსაუბრობ. როცა ადამიანს ვერ იყიდი, ვერ შეაშინებ, ყველანაირად უნდა ეცადო, რომ მის კერძო საკუთრებასაც შეეხო, რომელიც კანონიერად გააჩნია... მოვა დრო და, ამაზე ვრცლად ვისაუბრებ, ახლა ველოდები სასამართლოს გადაწყვეტილებას და შემდეგ მოსამართლეებსაც ბევრ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. წინა ხელისუფლებამ ვერ დამაჩოქა და ვერც ესენი დამაჩოქებენ! ვიმედოვნებ, გონიერება ეყოფათ და ამას ვერ გაბედავენ. ჩემზე კომპრომატი რომ ჰქონოდათ, იმას დამიდებდნენ და ისე გამაჩერებდნენ, მაგრამ ვერასდროს და არასდროს, ჩემს საწინააღმდეგოდ უკანონოს ვერაფერს იპოვნიან. 50 წელი, პატიოსნების მეტი, არაფერი გამიკეთებია.

– დარწმუნებული ვარ, ბატონო მიხეილ, წარმატებას გისურვებთ!

როგორ იხარჯება საბიუჯეტო თანხები არამიზნობრივად

მაკა რუხაძე

ბათუმი, ქობულეთი და ხელვაჩაური – აუდიტმა დარღვევები გამოავლინა

აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა ხელვაჩაურის, ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებების 2019-2020 წლების შესაბამისობის აუდიტი გამოაქვეყნა. ვინაიდან სამივე მუნიციპალიტეტში იდენტური დარღვევები გამოვლინდა, ძირითადად, ფინანსური რესურსების მართვასა და სახელმწიფო შესყიდვებში, სამივე მუნიციპალიტეტი ერთად განვიხილოთ.

დარღვევები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

როგორც აღვნიშნე, ძირითადი დარღვევები ფინანსური რესურსების მართვასა და სახელმწიფო შესყიდვებში გამოვლინდა. სხვათა შორის, სახელმწიფო შესყიდვები საბიუჯეტო ორგანიზაციების აქილევსის ქუსლია და რა გასაკვირია, რომ ამ მხრივ დარღვევები მუნიციპალიტეტებშიც გამოვლენილიყო.

მაშ, ასე, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტეტმა ვერ უზრუნველყო საკუთარ ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის – 3 568 670 ლარის ათვისება, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიანი მართვისა და პროექტების დაგეგმვის ხარვეზებზე.

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვებს, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა 2 884 841 ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განახორციელებინა გამოცდილების არმქონე იურიდიულ პირს, სადაც საბაზრო ფასთან შედარებით, ზედმეტად გადაიხადეს

194 586 ლარი, ხოლო სატრანსპორტო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე 45 064 ლარი აანაზღაურეს.

„ხელვაჩაურის მერიამ, განათების წერტილების ტექნიკურ მომსახურებაზე, 302 043 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა არაკონკურენტულ გარემოში განახორციელა. სატენდერო დოკუმენტაციაში არ მიუთითა განათების წერტილების ჩართვა-გამორთვის თვითრეგულირება, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრა დიდი ოდენობის პირგასამტეხლო, რაც ფაქტობრივად არ გამოუყენებია. გარდა ამისა, ხელვაცაურის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის, 26 შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გადაიხადა ხელშეკრულების სრული თანხა – 144 517 ლარი, თუმცა ბაზრის კვლევა არასრულყოფილად ჩაატარა; პროექტების მიღების ეტაპზე, არ განახორციელა ინსპექტირება, შესყიდულ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორადაა განსაზღვრული სამუშაოების სახეობები; არანაკლებ 1 822 997 ლარის ღირებულების სამუშაოებზე მიღებულია ხარვეზით შედგენილი პროექტი, რის გამოც, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. მიუხედავად ამ დარღვევებისა, მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არ დააკისრეს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შრომის ანაზღაურების დროს, მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად არ იყენებენ სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემას. ამასთან, 64 პირი, რომელთა ანაზღაურებამ შეადგინა 230 851 ლარი, შეთავსებით, სხვა უწყებაში იყო დასაქმებული.

გარდა ამისა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობასთან დაკავშირებით მთავრობის რეკომენდაციები. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტებით, ბალანსზე რიცხული და საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ 46 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, ჯამში – 163 362 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება! სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 91 787 853 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია, ხოლო 61 დასახელების 11 547 290 ლარის ღირებულების აქტივები არ აქვს აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში!

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ააიპ „ხელვაჩაურის საბავშო ბაღების გაერთიანებამ“, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე, 27 610 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი შეიძინა!

„2019-2020 წლებში, ხელვაჩაურის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით, 72 975 ლარი გაიხარჯა. მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას“.

დარღვევები ბათუმის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა არ ფუნქციონირებს. გარკვეულ შემთხვევაში, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებს იღებდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, მაგრამ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება.

რაც შეეხება ბათუმის საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით, 107 051 ლარია დახარჯული.

განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვებში აღმოჩენილი დარღვევები. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება განისაზღვრა ბაზრის არასათანადო კვლევის საფუძველზე, რის შედეგადაც, ბათუმის მერიამ არანაკლებ 22 408 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

„გარდა ამისა, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს შეიცავს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმი, მუნიციპალიტეტის საკუთ-

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ იხარჯება საბიუჯეტო თანხები არამიზნობრივად

მე-7 გვერდიდან

რებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვასაც ვერ უზრუნველჰყოფს. მეტიც, სრულად არ ტარდება ინვენტარიზაცია, რაც ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული 68 800 000 ლარის შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები უარყოფითად მოქმედებს აქტივების მოვლასა და სათანადო ექსპლუატაციაზე, რამაც, შესაძლოა, დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვა განაპირობოს.

„2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით, გადაუხდელია 2 450 249 ლარი, რომელიც ბუღალტრულად არაა აღრიცხული. დიდი ოდენობით გადაუხდელი საიჯარო გადასახადის აღურიცხავი თანხები კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს შესაძლებლობას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება არამართლზომიერად იყოს გამოყენებული ან/და არ იქნეს გადახდილი საიჯარო გადასახადი“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, როგორც პროექტების განმახორციელებელმა ორგანომ, ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პროექტების დადგენილ ვადებში შესრულება, რის გამოც, სესხის სახით გამოყოფილი სახსრები არ იქნა ათვისებული – კრედიტის მომსახურების ხარჯები კი გაიზარდა. ამ სესხების ფარგლებში, 2019-2020 წლებში, ჯამურად 290 371 ლარი არაეფექტიანად დაიხარჯა.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაწეული დანახარჯების დაფინანსების დამტკიცებული წესის დარღვევისა და არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტების მიუხედავად, მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმებში არაფერია აღნიშნული მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტების შესახებ, რაც წარმოშობს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს!

„ბათუმის მერიის მიერ, უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე, მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს“.

დარღვევები ქობულეთის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 6 931 908 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც პროექტების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

რაც შეეხება სახელმწიფო შესწყიდვებს, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ბაზრის კვლევის ნაკლოვანებებში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებით ხარვეზებსა და, შესაბამისად, ხელშეკრულებებში განხორციელებულ ხშირ ცვლილებებში გამოიხატება.

„შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 46 427 ლარი, ასევე, გაწეულია არანაკლებ 70 831 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი. გარდა ამისა, სატენდერო პირობების შემუშავებისა და ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა შერჩევასთან დაკავშირებით, ქობულეთის მერიაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სატენდერო პირობების ოპტიმალურ განსაზღვრასა და პრეტენდენტთა ობიექტურ შეფასებას. შედეგად, ოთხ შემთხვევაში, 9 553 900 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე ფიქსირდება კონკურენციის შეზღუდვისა და პრეტენდენტთა არაერთგვაროვანი შეფასების ფაქტები, რითაც ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა“.

სახელმწიფო აუდიტორებამ ისიც გაარკვიეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაში, 2019-2020 წლებში, გადახდილია 717 506 ლარი. თუმცა ამ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტორებს ვერ წარუდგინეს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა დაასკვნეს, რომ გაწეული მომსახურების დოკუმენტურად დაუდასტურებელი მოცულობა და სხვა გარემოებები საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს ქმნის.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულებულ, 8 662 030 ლარის ღირებულების სხვადასხვა შესყიდვაში გამოვლენილია ხარვეზები, რაც არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაოებსა და ჩატარებულ ექსპერტიზაზე/ინსპექტირებაზე მიუთითებს. ამასთან, მონიტორინგის პროცესის არაეფექტიანობის გამო, საგარანტიო ვადებში ხარვეზების შეუმჩნევლობა, შემდგომში, დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაწევის რისკებს წარმოშობს“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 212 231 482 ლარის ღირებულების უძრავი ქონების ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ არის აღრიცხული სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები, რაც ქონების დაზიანების ან მესამე პირთა მიერ არამართლზომიერი სარგებლობის რისკებს ქმნის.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2019-2020 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, გაზრდილია შრომის ანაზღაურების ფონდი. აგრეთვე, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა, რის გამოც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებს იღებდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად აღარ დასტურდება. ყოველივე ეს, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს შეიცავს.

„მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებით, რეგულაციის არარსებობის გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 19 560 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება. ასევე, ააიპ „ქობულეთის სანდასუფთავების“ მიერ, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეულია არანაკლებ 11 167 ლარის არაეკონომიური ხარჯი“.

სახელმწიფო აუდიტორებამ ისიც გაარკვიეს, რომ ააიპ „ქობულეთის სოფლის წყლის“ მიერ, სათანადოდ არ ხორციელდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი, რაც ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს. გარდა ამისა, პრობლემებია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებაშიც:

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, სრულად არ არის აღრიცხული სულადობრივი განაკვეთის მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა და შედეგად, არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტმა, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, საკრებულოს არათანამდებობის პირებს, ჯამში 238 975 ლარი გადაუხადა.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას“.

სამართალი

№5 9 თებერვალი 2022 წ

სპეცოპერაცია კახეთში – როგორ მოხვდა, თითქოს შემთხვევით, თავში ორი ტყვია ცნობილი ბანდის მეთაურს

ბათო ჯაფარიძე

საბედნიეროდ, კრიმინალს მხოლოდ სამართალდამცავები არ ებრძვიან. გავლენიანი ავტორიტეტები, ტერიტორიისა თუ გავლენის სფეროების გადანაწილების გამო, ხშირად, ომში ერთვებიან და ერთმანეთს დაუნდობლად უსწორდებიან. არცთუ იშვიათად ყოფილა, როცა სამართალდამცავებს დაუგეგმავთ სპეცოპერაცია, რომლის მიზანი სწორედ გავლენიანი კრიმინალების ერთმანეთზე წაკიდება ყოფილა, შემდეგ პოლიცია გვერდზე გამდგარა და მხოლოდ გვამებს აგროვებდა, დასუსტებულ ბანდებს კი ადვილად უსწორდებოდა. ეს, განსაკუთრებით, 90-იანი წლების რუსეთში იყო ნიშანდობლივი, როცა სამართალდამცავები დაპირისპირებულ დაჯგუფებებს არა მარტო პროვოკაციაზე აგებდნენ, არამედ, ცრუ დაკავებებსაც ახორციელებდნენ, თითქოს, ერთ-ერთი დაჯგუფების წევრმა მეორე დაჯგუფების წინააღმდეგ რაღაც ჩაიდინა, ამას დაბეჯითებით ამბობდნენ და სანამ მტყუან-მართალი ბოლომდე გაირკვეოდა, ვიღაცას ნერვები ვეღარ უძლებდა და ისროდა.

რითი დაემუქრნენ კრიმინალები ქირურგს – სკანდალური საქმის დეტალები

გარდა თავისუფლებაზე დაპირისპირებისა, დაჯგუფების ლიდერები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ, რომლებსაც სამართალდამცავები აიყვანდნენ და აალაპარაკებდნენ. ამიტომ, არასასურველ მოწმეებს ისინი თავიდან იშორებდნენ და ამას, ძირითადად, გისოსებს მიღმა მყოფი სხვა კრიმინალების ხელით აკეთებდნენ. იყო შემთხვევები, როცა საქმეში ციხის თანამშრომლებს რთავდნენ და მათი მეშვეობით ისეთ შეტყობინებას უგზავნიდნენ, ენაწყლიანი მოწმე მოულოდნელად მუნჯდებოდა. ეს, ძირითადად, ოჯახის წევრებზე ზეწოლის ფაქტის შედეგად ხდებოდა, თუმცა ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არა მარტო ქართულ კრიმინალისტიკაში გახლავთ უნიკალური.

„მაშინ, როცა საქართველოში იარაღის ტარება არავის უკვირდა და ყველას, ვისაც ზიდვა შეეძლო, ავტომატი ჰქონდა მხარზე გადაკიდებული, კახეთში, ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ბანდა დათარეშობდა. „მაჭახელას“ დაჯგუფებაზე არ ვამბობ, ეგ ცალკე უბედურება იყო. ჰოდა, ამ ბანდის მეთაურზე ვერავინ ვერაფერს ჰყვებოდა, ყველას ეშინოდა, მომკლავსო. არადა, მინისტრის ბრძანება იყო, ის კაცი უნდა დაგვეჭირა და უნდა დაგეჭირა არა ჩადებით ან ჩაგდებით, არამედ, ფაქტით, მოწმეთა ჩვენებით, ვერავის ხმა რომ ამოეღო. ამიტომ, კახეთში ათამდე კაცი ვიყავით ჩასული და ეს იცოდა, როგორც გავლენიანმა კრიმინალმა, ისე მოსახლეობამაც, თუმცა ვერავინ ბედავდა მოსულიყო და ეთქვა, მე დავადებ ხელს, მე ვიცი, რა ჩაიდინაო. მოკლედ, ამხელა კახეთში ერთ მოწმეს ვეძებდით, რომელიც გაბედავდა და ხმამაღლა იტყოდა იმას, რაც ისედაც ყველამ იცოდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა დედაქალაქიდან ჩასული სამართალდამცავები ერთ მოწმეს ეძებდნენ, მორიგი მძიმე დანაშაული მოხდა – ოჯახი დააყაჩაღეს, არასრულწლოვანი ბავშვის ჩათვლით, ლამის, ყველა ამოხოცეს და ლამის იმიტომ, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი გადარჩა და ეს, იმის მიუხედავად, რომ თავიდან, ადგილზე მისულ ექიმებსაც კი გარდაცვლილი ეგონათ. მას თავი მთლიანად სისხლში ჰქონდა გასვრილი, თუმცა გაირკვა, სისხლი ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად წამოუვიდა, მერე კი, მიწაზე დაგდებულს, ზემოდან ნასროლი ტყვია ასცდა და გრძნობადაკარგული არც განძრეულა. სწორედ მისი იმედი გაუჩნდათ სამართალდამცავებს, რადგან ის იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო ეთქვა, ვინ ხელმძღვანელობდა ყაჩაღობას და პირველივე დაკითხვაზე განაცხადა – რისი უნდა მეშინოდეს, არავინ დამრჩა, ხელს დავადებ, ოჯახის წევრები მაგან დამიხოცაო. ასეთ ადამიანებს ოქროს მოწმეები ჰქვიათ და მათ ძალიან, ძალიან უნდა გაუფრთხილდნენ. სასწრაფო წესით დააკავეს ბანდის მეთაური და სანამ ხმაური ატყდებოდა, თბილისში, სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაატორში გაგზავნეს.

რაც შეეხება მოწმეს, ექიმებმა თქვეს, 2-3 დღე აცადეთ, ტვინის შერყევა აქვს და მგზავრობა მაინცდამაინც რეკომენდებული არ არისო. საავადმყოფოს პალატასთან მილიციის ოთხი თანამშრომელი მორიგეობდა, თუმცა...

„სწორედ მაშინ, როცა იმ ოთხიდან ორი საჭმელად იყო გასული, პალატაზე თავდასხმა მოხდა, ორი მუშაკიდან ერთი მოკლეს, მეორე – დაიჭრა, ხოლო მოწმეს, რომელიც პალატაში იწვა, ავტომატის ჯერი გადაატარეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში გაგზავნილი ბანდის მეთაური უნდა გაგვეშვა, მაგრამ კიდევ ერთი სასწაული მოხდა – მოწმე გადარჩა და მართალია, ერთი ოპერაციის შემდეგ, მეორე და უფრო რთული სჭირდებოდა, მაგრამ ექიმები იმედს არ კარგავდნენ. მეორე, რთული ოპერაციისთვის თბილისიდან არა მარტო აპარატურა, არამედ, საუკეთესო ქირურგიც ჩამოვიყვანეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ოპერაცია მეორე დღისთვის დაიგეგმა, თბილისელმა ქირურგმა თბილისიდან ჩამოტანილი აპარატურა მოაწყო, პრაქტიკულად, ახალი საოპერაციო ბლოკი გააკეთა და მეორე დილით, სანამ ოპერაციაზე შევიდოდა, საავადმყოფოში დაურეკეს, ზარი თბილისიდან არისო. მანაც მშვიდად აიღო ყურმილი, მერე კი სახე შეეცვალა და ორად ორი სიტყვა თქვა: „ყველაფერი გასაგებია!“

ოპერაციის დაწყება გაჭიანურდა, ექიმს წნევამ აუწია და აქეთ გახდა სამკურნალო. სამართალდამცავები მშვიდად იყვნენ, გამორიცხული იყო, მოწმის სიცოცხლის ხელყოფა ვინმეს კიდევ ეცადა, რადგან საავადმყოფოს თბილისიდან ჩამოსული, სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი იცავდა.

„მოულოდნელად, ჩემთან ერთ-ერთი გამომძიებელი მოდის და მეუბნება, არ ფიქრობთ, რომ შეიძლება, ექიმს აიძულონ პაციენტის მოკვლა? ოპერაცია იმდენად რთულია, ბრალს ვერავინ დასდებს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექიმს როგორ? რანაირად?.. და ამ დროს, ძალოვნებს სატელეფონო ზარი გაახსენდათ. თბილისელი მაძებრები მაშინვე ტელეფონს ეცნენ და დედაქალაქში დარეკეს იმის გასარკვევად, სად იყო იმ დროისთვის ექიმის ოჯახი, ცოლი და ორი შვილი. პასუხიც მალე მოვიდა, შვილები სასწავლებელში, მეუღლე კი... ის სახლში გახლდათ, თუმცა მასთან ერთად, ორი კრიმინალი იმყოფებოდა. სწორედ მათ აიძულეს ქალი, ქმრისთვის დაერეკა და ეთქვა, თუ მოწმე საოპერაციო მაგიდაზე არ დარჩებოდა, ექიმი ცოლს ცოცხალს ვეღარ ნახავდა. მძევლის გათავისუფლების ოპერაცია უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმმა დაგეგმა და წარმატებითაც ჩაატარა. სანამ ქალი არ გაათავისუფლეს, ექიმს საოპერაციოში შესვლის უფლება სამართალდამცავებმა არ მისცეს და ეს, იმის მიუხედავად, რომ ქირურგი ამბობდა, მაქსიმუმს გავაკეთებო. შემდეგ კი, როცა ქალმა ქმარს დაურეკა და უთხრა, რომ მის გვერდით კრიმინალების ნაცვლად, სამართალდამცავები იდგნენ, ქირურგს სახე გაებადრა, ამოისუნთქა და ოთხსაათიანი ოპერაცია წარმატებით დაასრულა.

შემდეგ იყო სასამართლო პროცესი, რომელზეც ბანდის მეთაურს მარტივად მიუსაჯეს 14 წელი და ერთი შეხედვით, პრობლემაც მოგვარდა, მაგრამ ერთი შეხედვით. როგორც მერე ითქვა, მისმა ბიჭებმა უზარმაზარი თანხა გადაიხადეს მეთაურის გათავისუფლების სანაცვლოდ და ექვსი თვის შემდეგ, ის ციხიდან გამოვიდა. ეს იმის მიუხედავად, რომ საქმეში მაშინდელი შს მინისტრიც კი იყო ჩარეული და მის ინტერესში შედიოდა ამ კაცის ციხეში ყოფნა.

„ასე ხდება, როცა რაღაც არ გამოდის ისე, როგორც გინდა, უნდა გამოიყვანო. ჩვენ ბრძანება მივიღეთ და ის უნდა შეგვესრულებინა. ბრძანება კი არ იყო მარტივი, მაგრამ“... – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გათავისუფლებიდან სამ კვირაში, ბანდა ახალ საქმეზე წავიდა. სახლში, სადაც წესით, დიდი ფული და ორი უმწეო მოხუცი უნდა ყოფილიყო, სამინისტროს სპეცრაზმი იყო ჩასაფრებული. მათ კონკრეტული მითითება ჰქონდათ – არანაირი დაკავება, კრიმინალების ლიკვიდაცია ადგილზე უნდა მომხდარიყო. დაახლოებით, 15 წუთში, სროლა მიწყდა და სახლის ეზოში ხუთი გვამი ესვენა. მათ შორის, ბანდის მეთაურის, რომელსაც თავში, „სრულიად შემთხვევით“, ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ბანდის დანარჩენი წევრები იმავე დღეს აიყვანეს, მათ წინააღმდეგ მოწმეების მოძებნა აღარ გასჭირვებიათ, რადგან მოსახლეობამ გაიგო მთავარი – სასტიკი დამნაშავის სიკვდილის ამბავი და აღარ ეშინოდა.

ასე დასრულდა ერთი სისხლიანი ბანდის თარეში კახეთში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი გახლდათ. მაშინ, ყველა რაიონსა თუ სოფელს თავისი ბანდა ჰყავდა და სამწუხაროდ, სამართალდამცავები ყველას ვერ სწვდებოდნენ. ბევრს ძალოვან სტრუქტურებში მფარველობდნენ, ბევრს კი სხვა თანამდებობის პირები აფარებდნენ ხელს. და ეს არ იყო მხოლოდ ქრთამის მიღების გამო გადადგმული ნაბიჯი, ამ ადამიანებს, მაშინდელ მაღალჩინოსნებს, უბრალოდ ეშინოდათ და როგორც საკუთარ, ისე ოჯახის წევრების სიცოცხლეს უფრთხილდებოდნენ... და ეს ყველაფერი სხვისი სიცოცხლის ფასად ხდებოდა!

რატომ მოკლეს მორწმუნე ახალგაზრდა

ბათო ჯაფარიძე

„რამდენჯერ უნდა მოგკლა, რამდენჯერ?!“ – ვინ არის როკერი, რომელიც მკვლელს ცოლის საყვარელში აერია

ხშირად გაიგონებთ, ყველა ადამიანს საკუთარი ბედისწერა აქვს, რომელსაც ვერსად გაექცევაო და ეგებ, მართალიცაა. არავინ იცის, ვის რა გვიწერია, მაგრამ ხშირად ადამიანები თავად ქმნიან საკუთარ მომავალს, თუმცა არის შემთხვევები, როცა არაფრის შეცვლა შეგიძლია. არადა, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თითქოს საფრთხე არსაიდან გემუქრება და უცებ...

საქართველოს ერთ-ერთ პატარა რაიონში მოკლეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყველას უყვარდა. რაც მთავარია, მასზე ცუდს არავინ ამბობდა და იმის მიუხედავად, რომ მაშინ წვერის ტარება მაინცდამაინც კარგ ტონად არ ითვლებოდა, ეს ახალგაზრდა წვერს რწმენის გამო ატარებდა. სხვათა შორის, მაშინ წვერი რომ გეტარებინა, ან ხელოვანი უნდა ყოფილიყავი, ან კრიმინალი, ან რომელიმე მუსიკალური ჯგუფის მიმდევარი, სხვაგვარად წვერს ძალიან, ძალიან იშვიათად უშვებდნენ.

მოკლულს საცოლეც ჰყავდა, ასევე მორწმუნე გოგონა, რომელიც საქმროს სიკვდილის გაგების შემდეგ, ძაძებით შეიმოსა და ბუტბუტით ლოცვებს კითხულობდა.

რატომ? რისთვის? – კითხვა, რომელიც არა მხოლოდ სამართალდამცავებს აწუხებდათ, რეალურად, პასუხგაუცემელი იყო. ვერავინ იხსენებდა თუნდაც ერთ შემთხვევას, რომ გარდაცვლილს ვინმესთან კონფლიქტი ჰქონოდა. არადა, მკვლელობა ძალიან ჩუმად და ბანალურად მოხდა. კაცს კარზე დაუკაკუნეს (სხვათა შორის, კაკუნი მეზობელმაც გაიგო), დაახლოებით, 30 წამში კი კარი დაიხურა. მკვლელმა მამაკაცს თავში რაღაც ჩაარტყა, შემდეგ კი გულში დანა გაუყარა. ყველაფერ ამას, 30 წამი ეყო და მეზობელმა მხოლოდ ორი საათის შემდეგ შენიშნა სანახევროდ მიხურული კარი, როცა ნაგვის გადასაყრელად გავიდა.

ნებისმიერი მკვლელობის დროს აუცილებლად არსებობს მოტივი, რის გარეშეც, წინასწარი განზრახვით, არავინ არავის კლავს. ეს კი აშკარად განზრახ მკვლელობა იყო, რადგან მკვლელი შესაბამისად მოემზადა, ბინაზე მივიდა, დააკაკუნა, ზუსტად იცოდა, რაც უნდა ექნა და ვისთვის უნდა დაერტყა დანა. გამომძიებლები ხელებს უმწეოდ შლიდნენ, მოსახლეობა გაოგნებული იყო. დაახლოებითაც კი ვერავინ წარმოიდგინა, რის გამო შეიძლებოდა მოეკლათ კაცი, რომელიც, უბრალოდ, ყველას უყვარდა. სამართალდამცავები სიღრმეებში წავიდნენ, მისი საცოლის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, ეგებ, გოგო სხვასაც უყვარდა და თან ისე თავდავიწყებით, მკვლელობასაც მოაწერა ხელიო, მაგრამ არაფერი მსგავსი. გოგოც იმდენად მორიდებული იყო, ურთიერთობა თითქმის არავისთან ჰქონდა, საქმროც ეკლესიაში გაიცნო და მოკრძალებულ ჯვრისწერას აპირებდნენ.

ჰო, ჯვრისწერას და არა – ქორწილს, რადგან წყვილს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ბინაშიც არაფერი იყო ისეთი, ვინმე დახარბებოდა და თანაც, 30 წამი ანუ ის დრო, რაც კარის გაღებიდან დახურვამდე გავიდა და რაც მეზობელმა გაიგონა, რაიმეს წასაღებად ძალიან ცოტა იყო.

მოულოდნელად, ახალი ვერსია გაჩნდა: ვიღაცამ დაინახა, რომ რამდენიმე დღის წინ, მოკლულს ვიღაც ბიჭმა საქმის გარჩევა დაუწყო და ხელიც დაარტყა, შემდეგ კი ადგილიდან მიიმალა. მართალია, მან, ვინც ყველაფერი დაინახა, თავდამსხმელის ზუსტი აღწერა ვერ შეძლო, მაგრამ თქვა, ეგ ადრეც მინახავს ჩვენს რაიონში და კიდევ ვნახავ, სადმე რომ არ გადამეყაროს, გამორიცხულიაო. სამართალდამცავებიც ამის იმედად იყვნენ და ბედმა ორი კვირის შემდეგ გაუღიმათ – განყოფილებაში დარეკეს, ის თავდამსხმელი რაიონშია და ბაზარზე ხილს ჰყიდისო. ოპერმუშაკები მაშინვე გავიდნენ და ეჭვმიტანილი დააკავეს. მან დაკითხვაზე აღიარა, რომ მამაკაცს შეგნებულად დაარტყა, რადგან ბაზარში ხილის ყიდვის დროს, შეაგინა და გაიქცა, შემდეგ კი შემთხვევით გადაეყარა და იმ გინების გამო, ყბაში უთავაზა. რაც შეეხება მკვლელობის დღეს, დაკავებულს, მისდა ბედად, იმ დღეს, შვილის დაბადების დღე ჰქონდა და მთელი დღე სახლში, სტუმრებთან ერთად ტრიალებდა, შემდეგ კი ისე დათვრა, მის ნამოქმედარზე მთელი სოფელი არაკებს ჰყვებოდა ანუ მკვლელი ის არ იყო. აი, მოკლული ახალგაზრდას მხრიდან გინება კი ყველას ეუცხოვა, მეზობლები ამბობდნენ, მისგან ცუდი სიტყვა არასდროს გაგვიგია, ხილის გამყიდველი ტყუისო, მაგრამ თავის მხრივ, ის ამტკიცებდა, შემაგინა და პასუხი მოვთხოვეო. ეს ვერსიაც არ გამართლდა და სამართალდამცავებს სხვა ხელმოსაჭიდი არ ჰქონდათ.

ასე გავიდა ორი თვე და ვერავინ ვერაფერი გაიგო. ხალხი ჩუმად სამართალდამცავთა უნიათობაზე საუბრობდა, გამომძიებლები კი ამაოდ ცდილობდნენ, ვინმესგან რამე გაეგოთ, რადგან ვერავინ ხსნიდა, რისთვის იყო საჭირო ამ კაცის მკვლელობა.

ის იყო, საქმე თაროზე უნდა შემოედოთ, რომ რაიონში სერიოზული ჩხუბი მოხდა. ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც პანკს თუ როკს უსმენდნენ, ვიღაცებს აუშარდნენ, ხელჩართულ ჩხუბში კი, ორი ადამიანი დაიჭრა, ხოლო რამდენიმე – სერიოზულად იცემა. სამართალდამცავებმა დაკითხვები დაიწყეს, დაჭრაში ეჭვმიტანილები დააკავეს. ერთ-ერთი ნაცემი მუსიკის მოყვარული, არცთუ დიდი ხნის წინ მოკლული ბიჭის გვერდით კორპუსში ცხოვრობდა. როცა მასთან ახალბედა გამომძიებელი მივიდა, სახლი აერია და გარდაცვლილის კარზე დაკაკუნა. რატომ? მარტივი მიზეზის გამო – ის ბინაც მეორე სართულზე, ხელმარჯვნივ იყო. გამომძიებელს მეზობლის ქალმა გამოხედა და როცა ფორმიანი დაინახა, ქოქოლა მიაყარა, მკვდარს რას უკაკუნებ, მკვლელი იპოვოთ, ის სჯობსო. გამომძიებელმა ყველაფერი ეს განყოფილებაში, კოლეგებს უამბო და ისიც თქვა, კორპუსებს ერთი და იგივე ნომერი აწერიათ, იმიტომ ამერიაო.

მაძებრებმა ერთმანეთს გადახედეს და გამომძიებელს ერთადერთი კითხვა დაუსვეს – ახლა დაზარალებულს წვერი აქვს? დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, ისინი მოჩხუბართან წავიდნენ.

ბიჭი ძალიან, ძალიან ჰგავდა რამდენიმე თვის წინ მოკლულ ახალგაზრდას. გამომძიებლებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, ეს ბიჭი წაიყვანეს და ხილის გამყიდველს ანახეს, მანაც უყოყმანოდ თქვა, მკვლელობას რატომ მტენიდით, აგერ, ცოცხალი ყოფილაო და როცა უთხრეს, რომ სხვას დაარტყა, ეს კი სხვა იყო, თავადაც გაოცდა, მერე კი ჩაიბუტბუტა – ეს წვერიანი ახალგაზრდები ერთმანეთს ძალიან გვანანო გაჩნდა ვერსია, რომ ვიღაცას სწორედ ამ ბიჭის მოკვლა სურდა, გამომძიებლის დარად, კორპუსი აერია, სხვას მიუკაკუნა და როგორც კი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, წვერი დაინახა, მოქმედება დაიწყო. რა თქმა უნდა, გამომძიებლებმა მისი დაკითხვა დაიწყეს და დაადგინეს, რომ პრობლემა მეგობარი გოგოს გამო ჰქონდა, რომელსაც ქმარი ჰყავდა. ეს გოგო როკის მოყვარული აღმოჩნდა, სხვებთან ერთად, მუსიკის მოსასმენად რაიონიდან იპარებოდა, მერე ქმარი ეძებდა, ნახულობდა, სცემდა და უკან მიჰყავდა. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, ქმარმა ცოლს სწორედ მაშინ შეუსწრო, როცა ვიღაც წვეროსანს კოცნიდა. ქმარმა ცოლისგან მისამართი გაიგო და...

იმის გამო, რომ სამართალდამცავებს მტკიცებულება არ ჰქონდათ, სავარაუდო მკვლელის პროვოკაციაზე წამოგება გადაწყვიტეს. წვეროსანი როკერი სოფელში წაიყვანეს, იმ სახლთან მიიყვანეს, სადაც გოგო ცხოვრობდა და... მან ქალს დაუძახა. სახლიდან ქმარი გამოვიდა, წვეროსანის დანახვაზე ჯერ გაოცდა, შემდეგ გაფითრდა, იქვე დაგდებულ ნაჯახს ხელი დაავლო და ბოლო ხმაზე იღრიალა – რამდენჯერ უნდა მოგკლა, რამდენჯერ?! ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ საქმეში სამართალდამცავები ჩარეულიყვნენ და დამნაშავე დაეკავებინათ.

როცა დაკავებულმა გაიგო, ვინც მოკლა, ტირილი დაიწყო, ასე არ მინდოდა, ამ ნაძირალასთვის უნდა გამომეყვანა წირვაო. შემდეგ დეტალებში მოჰყვა, როგორ ყარაულობდა სახლთან მსხვერპლს, როგორ დაინახა წვეროსანი მამაკაცი, რომელიც მართლა ძალიან ჰგავდა როკერს, როგორ დაუკაკუნა, როგორ ჩაარტყა თავში არმატურის ნაჭერი და როგორ უმოწყალოდ გაუყარა გულში დანა... მან ცოლის ღალატისთვის იძია შური და შინ დაბრუნებულმა ცოლს უთხრა, თუ კიდევ წახვალ რაიონში, შენც იმის გზას გაგიყენებო და სისხლიანი დანა ანახა. ქალი შეშინდა და სახლიდან ფეხს აღარ ადგამდა, თითქოს ყველაფერი დალაგდა და...

დაკავებულს სასამართლომ ათწლიანი სასჯელი შეუფარდა. 3 წელი პირობითი სასჯელი შეეფარდა მის ცოლსაც, რადგან მძიმე დანაშაული დაფარა. როკერი კი ამ საქმიდანაც სუფთად გამოძვრა.

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე სამყაროში, ადამიანების გარკვეული კატეგორია არა მარტო იმ ანდერძს ტოვებს, რომლთაც სიკვდილის შემდეგ მისი ქონება ნაწილდება, არამედ, ქორწინების დროსაც კი ზუსტად საზღვრავს, დაშორების შემთხვევაში ვის რა ერგება. სხვათა შორის, ანდერძის დატოვება უცხო არც საბჭოთა კავშირის დროს იყო და ადამიანები შთამომავლობას ან, უბრალოდ, კარგ ნაცნობებს უტოვებდნენ უძრავ-მოძრავს. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, მაშინ, არცთუ იშვიათი იყო ქონების სახელმწიფოსთვის დატოვების შემთხვევები ანუ ისე სჯეროდათ კომუნიზმის, რომ მის შენებაში წვლილი საკუთარი ქონების გადაცემით შეჰქონდათ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. ერთი შეხედვით, გაუხსნელი საქმე იმდენად მოულოდნელი სცენარით წარიმართა, რომ გამოცდილმა მაძებრებმაც კი პირი დააღეს.

დიდი ტრაგედია – ახალგაზრდა მეძუძური დედა ქუჩაში მოკლეს

რა გახდა მკვლელობის საბაბი და ვინ იყო 70 წლის მამაკაცი, ვისგანაც ახალგაზრდა ქალმა შვილი გააჩინა

გამვლელებმა გარდაცვლილი გოგონას სხეული კორპუსების მიმდებარედ იპოვეს. იქვე ეგდო ბავშვის ე.წ. მატყუარა და პატარას ქუდი. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ქალი ბავშვთან ერთად იყო და ექსპერტიზამაც დაადასტურა, გარდაცვლილი მეძუძური დედაა. ამას გარდა, ექსპერტიზამ ისიც თქვა, თავდამსხმელი მსხვერპლს უკნიდან მიეპარა, მკლავი კისერზე ამოსდო და დანა ზურგში ოთხჯერ დაარტყაო.

„მაშინ ჯერ კიდევ იყო ე.წ. აგენტურა და ყველა კორპუსში ჩვენი მოენე გვყავდა. ამიტომ, მოკლულის ნახვიდან ორ საათში, უკვე ვიცოდით, რომ ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრებმა ქალმა დილით, მაღაზიაში, რძე და პამპერსი იყიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სახლში პატარა ჰყავდა, მაგრამ საიდან?! ამიტომ, მას მივადექით“, – გვიყვება აღნიშნული საქმის მასალებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქალმა კარი გააღო და როცა სამართალდამცავები დაინახა, ტირილი დაიწყო. მისი თქმით, ღამით სეირნობა უყვარდა, იმ ადგილზე კი ბავშვის ტირილი გაიგონა, ეს ღვთის საჩუქრად ჩათვალა, ბავშვი შინ წაიყვანა და წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ იქვე ვინმე მოკლეს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ეს ქალბატონი მკვლელობას ვერ ჩაიდენდა, საამისოდ არც ძალა ეყოფოდა და არც – სიმაღლე. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ არავინ იცოდა, ვინ იყო ბავშვის დედა, ან მამა, თანაც დაკარგულებს არავინ ეძებდა. სამართალდამცავები ისევ აგენტებს დაეკითხნენ და ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ გოგონა, დაახლოებით, ოთხასი მეტრის მოშორებით ჰყავდა ნანახი. მივიდნენ მოშორებით კორპუსებში და ეზოში მყოფ ასაკოვან ქალს გარდაცვლილის სურათი ანახეს, ხომ არ იცით, ვინ არისო. ქალმა სურათს დახედა და გული წაუვიდა.

ბედის ირონიით, სამართალდამცავებმა სურათი გარდაცვლილის დედას ანახეს. როცა ქალი აზრზე მოვიდა, პირველ რიგში, ბავშვი მოიკითხა და როცა უთხრეს, ცოცხალიაო, ისევ ტირილი დაიწყო.

„ქმარი ადრე დამეღუპა, შვილი წვალებით გავზარდე, მერე კი ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი გამოჩნდა. ოჯახის ახალი წევრი შვილმა ვერ აიტანა და საცხოვრებლად ცალკე გადავიდა. მცირე ბიზნესი მაქვს, ამიტომ არც შვილის ბინის ქირის გადახდა მიჭირდა და არც – მეგობარი მამაკაცის შენახვა. ჯერ ახალგაზრდაა, სამსახურს ეძებს, ცდილობს, რამე იპოვოს, მანამდე კი მე მეხმარება ბიზნესში, თან ძალიან ვუყვარვარ. ერთი წლის წინ, ჩემი შვილი დაორსულდა, ცოცხალი თავით არ მთხრა, ვინ იყო ბავშვის მამა და ეს დღემდე არ ვიცი. ბავშვს ხშირად მიტოვებდა, გუშინაც დამიტოვა, ღამით წაიყვანა და მითხრა, ფეხით გადავალ სახლშიო“, – სულ ეს იყო, რაც გარდაცვლილის დედამ გაიხსენა.

მისი მეგობარი მამაკაცი, ქალზე 25 წლით უმცროსი აღმოჩნდა. ჩვეულებრივი „ალფონსი“, რომელსაც არაფერი ადარდებდა და მხოლოდ იმას ფიქრობდა, რაც შეიძლება, მეტი ფული გამოერთმია ქალისთვის, რომელსაც სიყვარულით თავბრუ დაახვია. მან მხრები აიჩეჩა, გუშინ სახლში ვიყავი, გარეთ არ გავსულვარ, გარდაცვლილმა ბავშვი რომ წაივყანა, არც კი გამიხედავს, არ დამინახავს, რა ეცვაო. სამაგიეროდ, გარდაცვლილის მეგობარმა თქვა, გოგონა სახლიდან მას შემდეგ წავიდა, რაც დედამისის საყვარელმა გაუპატიურება დაუპირაო. დაკითხვის შემდეგ, ბიჭმა აღიარა, რომ გერს ელლაბუცებოდა, თუმცა უარის მიღების შემდეგ გაჩერდა, რადგან არ უნდოდა საყვარელს გაეგდო. ბავშვის მამის შესახებ, არც დაქალმა იცოდა რამე, მაგრამ გაიხსენა, რომ გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გოგონამ ტელეფონით ვიღაცას დაურეკა და ბოლო ხმაზე უყვიროდა, მე შენთან ვაჭრობას არ ვაპირებ, ყველა ბინა ჩემიაო. რა ბინაზე იყო საუბარი, როცა გოგოს საკუთარი ჭერიც კი არ ჰქონდა?

„ძალიან ცუდია, რომ დღეს აგენტურული ქსელი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, მაშინ კი საქმეების უდიდესი ნაწილი, სწორედ აგენტურული ქსელის ეფექტიანად მუშაობის შედეგად იხსნებოდა. სწორედ აგენტურული ქსელის მეშვეობით გავიგეთ, რომ გოგონა რომელიღაც სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა მდივნად და საღამოობით, შინ ამ კომპანიის შეფი აცილებდა მანქანით, ხოლო რამდენჯერმე, მისი ბინიდან გამოსულიც დაინახეს, თუმცა ეჭვად არავის არაფერი აუღია, რადგან მამაკაცი 70 წელს იყო მიღწეული, გოგონა კი მასზე ლამის ნახევარი საუკუნით იყო პატარა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მალე ისიც გაირკვა, რომ სამშენებლო კომპანიის შეფი გულის შეტევით საავადმყოფოში იწვა და შეტევის დრო ზუსტად ემთხვეოდა დაქალის მიერ მოყოლილ საუბარს. ისიც მარტივად გაირკვა, რომ აღნიშნულ პირს ცოლ-შვილი არ ჰყავდა და მისი უახლოესი ნათესავი მხოლოდ დისშვილი იყო, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ადვოკატი ქმარი ჰყავდა. მშენებელს ერთი უცნაური ახირება ჰქონდა – ყველა კორპუსში, რომელსაც აშენებდა, ერთ ბინას თავის სახელზე აფორმებდა და ასე მოუგროვდა რვა ბინა დედაქალაქში. სასწრაფო წესით აიღეს დნმ სინჯი და რამდენადაც შესაძლებელი იყო, ანალიზი ჩატარეს. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ბავშვის მამა, სწორედ 70 წელს მიტანებული კაცი გახლდათ.

გამომძიებლებმა მისი დისშვილი დაკითხეს. რა თქმა უნდა, დაკითხვას ადვოკატი ქმარიც ესწრებოდა.

„ბიძამ მითხრა, ვიღაც გოგო გადამეკიდა და ბინებს მთხოვს, მაგრამ ნუ გეშინია, ანდერძით ყველა ბინას შენ დაგიტოვებო. იმ დღეს, როცა ანდერძი უნდა დაეწერა, იმ გოგომ დაურეკა, ამან ინერვიულა და გულის შეტევა დაემართა. ახლა კი გავიგეთ, რომ ის გოგო ვიღაცას მოუკლავს და ბინები, ანდერძის გარეშეც, ჩვენ გვრჩება. მეც და ჩემს ქმარსაც ალიბი გვაქვს, მკვლელობის ღამეს, ბიძაჩემს ვადექით თავზე და ჩვენთან ერთად, ექიმი და ექთანი იყვნენ, წუთითაც კი არსად გავსულვარ“, – თქვა ქალმა და სამართალდამცავებმაც იცოდნენ, რომ ცოლ-ქმარს მყარი ალიბი ჰქონდათ. სამაგიეროდ, წყვილმა ის არ იცოდა, რომ გოგონას შვილი დარჩა, რომელიც ამ ბინების პირდაპირი მემკვიდრე გახლდათ.

„ისევ აგენტურულ ქსელზე უნდა ვთქვა. ჩვენმა აგენტებმა გვითხრეს, ქალი ქმართან დაშორებას აპირებს, დიდი ხანია, თავის თანამშრომელთან ღალატობს და რეალურად, ბიძამისის სიკვდილს ელოდა, რათა მემკვიდრეობით მიეღო ყველაფერი, რისი მიღებაც კი შეიძლებოდა, შემდეგ კი ახლიდან გათხოვდებოდაო. ამიტომ, გადავწყვიტეთ ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა – ქალს და მხოლოდ ქალს ვუთხარით, რომ არსებობდა ბავშვი, რომელიც საავადმყოფოში იყო, იქიდან გამოწერის შემდეგ კი ბებიასთან წავიდოდა საცხოვრებლად და ბინების მემკვიდრე, სწორედ ეს ჩვილი გახლდათ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ქალი, როგორც ქმარს, ისე საყვარელს ამ ამბავს ეტყოდა და ის, ვინც გოგო მოკლა, აუცილებლად მიაკითხავდა ბავშვსაც“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საავადმყოფოში, საბავშვო ბლოკთან, სამართალდამცავებმა 24-საათიანი მორიგეობა დააწესეს. თეთრ ხალათში ჩაცმული ოპერმუშაკები თვალს არ ხუჭავდნენ, ერთმანეთს ხშირად ენაცვლებოდნენ, რადგან სასწორზე ბავშვის სიცოცხლე იდო. ძალოვნები დარწმუნებული იყვნენ, რომ გოგონას მკვლელი ორი მამაკაციდან ერთ-ერთი იყო და მართლაც, თეთრ ხალათში გამოწყობილმა, პირზე პირბადით სახედაფარულმა „ექიმმა“ იმ ბლოკისკენ გასწია, სადაც ბავშვი ეგულებოდა. პალატაში შესულმა ბალიში აიღო და ბავშვების საწოლებისკენ დაიძრა. ოპერმუშაკები პალატაში იმ დროს შევიდნენ, როცა მკვლელი ბავშვის სახეზე ბალიშს უშვებდა. დაკავებული პოტენციური მემკვიდრე ქალის საყვარელი აღმოჩნდა.

„ეს ქალი იმიტომ შევიყვარე, რომ დარწმუნებული ვიყავი, ბიძამისი არა მარტო ბინებს, არამედ, მთელ ბიზნესს დაუტოვებდა. მერე საიდანღაც ის გოგო გამოტყვრა, არ ვიცოდი, რომ ბავშვიც მემკვიდრე იყო და ამიტომ, მხოლოდ ის მოვიშორე, ჩემს გეგმებში ვიღაც გოგო არ ჯდებოდა. მერე გავიგე, რომ მკვლელობის მიუხედავად, ქონება მაინც სხვას რჩებოდა და გამოდიოდა, რომ მკვლელობა ტყუილად ჩავიდინე. ამიტომ, გადავწყვიტე, ასეთი მძიმე ნაბიჯის გადადგმა“, – ასეთი ჩვენება მისცა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ციხეში გაისტუმრა, ჩვილი ბავშვი კი ბებიასთან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა მასსა და მამამისის დისშვილს შორის გრძელვადიანი სასამართლო პროცესი დაიწყო – რვა ბინისა და ბიზნესის დათმობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. როგორც მერე თქვეს, მხარეები შეთანხმდნენ და ქონება შუაზე გაიყვეს, თანაც სამშენებლო ბიზნესის მართვა არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან კორპუსი მიწაზე შენდება, სასურველი მიწის დასათრევად კი მაშინაც და ახლაც, მხოლოდ სურვილი არ გახლდათ საკმარისი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთში, სხვადასხვა დროს სამი პირი დააკავეს, რომელთა პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა თბილისში, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, EKOL-ის ფირმის, კუსტარულად გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი და ასევე კუსტარულად გადაკეთებული 6 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1968 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.შ.-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 2 ვაზნა, გადაჭრილი ორლულიანი თოფი, ე.წ. ბარაბნიანი პისტოლეტი და სანადირო თოფის ორი მასრა. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული ხ.ბ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ხონში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „მაკაროვი-პმ“-ის მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და 13 საბრძოლო ვაზნა.

აღნიშნული დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, კემლინ ფურლისთან შეხვედრა გამართა.

მინისტრის მოადგილემ სტუმარს გააცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში სტრუქტურული რეფორმისა და საკადრო რესურსის გაზრდის კუთხით განხორციელებული პოზიტიური სიახლეები, რომლებიც თავშესაფრის პროცედურის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მხარეებმა დეტალურად განიხილეს ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი – „საზღვრისა და მიგრაციის მართვის ქმედება საქართველოსთვის“ (BMMAG).

პროექტი 2022-2023 წლებში განხორციელდება და სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს რიგ აქტივობებს, თავშესაფრის პოლიტიკისა და მისი საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ კემლინ ფურლის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკას ეწვია

ვახტანგ გომელაური ოფიციალური ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკას ეწვია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსმა, ვაჰე ღაზარიანმა უმასპინძლა.

შეხვედრის დაწყებამდე, ვახტანგ გომელაურმა, დელეგაციის წევრებთან და სომხეთის პოლიციის უფროსთან ერთად, გვირგვინით შეამკო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელების მემორიალური კედელი.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკაში, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად იმყოფებიან მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე, ასევე მინისტრის მოადგილეები – იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი.

ოფიციალურ შეხვედრაზე, მხარეებმა საქართველოსა და სომხეთის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარებისთვის მზაობა გამოთქვეს. ვახტანგ გომელაურმა და ვაჰე ღაზარიანმა დარგობრივ რეფორმებზე, მიმდინარე პროექტებზე, საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სომხეთის ახლად შექმნილ საპატრულო სამსახურს წარმატებები უსურვა.

შეხვედრის დასასრულს, სომხეთის პოლიციის უფროსის, ვაჰე ღაზარიანის ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური და საქართველოს დელეგაციის წევრები დაჯილდოვდნენ მედლით – „თანამშრომლობის გაძლიერებისათვის“.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილეები – იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი, სომხეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის საპოლიციო დანაყოფებს ესტუმრნენ.

ვახტანგ გომელაურმა და მისმა მოადგილეებმა დაათვალიერეს სომხეთის პოლიციის ჯარები, სამხედრო ნაწილების შეიარაღება, სპეციალური საშუალებები, ჯავშანტექნიკა და საპოლიციო მანქანები.

სომეხმა სამართალდამცველებმა ქართველი სტუმრებისთვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სიმულაციური ვარჯიში გამართეს. სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა წარადგინეს საბრძოლო ტაქტიკის პრაქტიკული ელემენტები და განახორციელეს ტერორისტული ჯგუფის განეიტრალების ოპერაციის იმიტაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, ასევე იმყოფებოდა კომპლექს „წიწერნაკაბერდში“, სადაც 1915 წელს დაღუპულ სომეხთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან, ნიკოლ ფაშინიანთან და სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსთან, ვაჰე ღაზარიანთან.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართეს.

ვახტანგ გომელაურმა თბილისის სხვადასხვა რაიონის პოლიციის ხელმძღვანელებისგან დედაქალაქში დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

ვახტანგ გომელაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები მისცა.

რუსეთს ასე ვერ მოვუგებთ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რაგბი-ევროპის შესარჩევში, პორტუგალიასთან საკუთარ მოედანზე ფრედ, 25:25 ითამაშა. პორტუგალიელები შეხვედრამდე ამბიციურ განცხადებას აკეთებდნენ და ახალ ტაქტიკა-სტრატეგიაზე საუბრობდნენ, თუმცა მატჩების წინ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. გარდა იმისა, რომ მათ ცუდად აშკარად არ ითამაშეს, ფრე უფრო ჩვენი გუნდის უნიათო ბურთაობის დამსახურებაა. ლევან მაისაშვილის გუნდს, პრაქტიკულად, არაფერი გამოუვიდა და ამ შემთხვევაში, საკადრო პრობლემების მიზეზად დასახელება მართებული არ იქნება. ჩვენებს თითქოს რაღაც აკლდათ, თითქოს დაბნეულები იყვნენ.

მომდევნო შეხვედრა ნაკრებს 12 თებერვალს, ჰოლანდიაში, ადგილობრივ ნაკრებთან აქვს, შემდეგ კი, 27 თებერვალს, „დინამო არენაზე“ საქართველო-რუსეთია. ამ შეხვედრაზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია და იმედია, მორაგბეებიც ხვდებიან, რას ელოდება ქართველი გულშემატკივარი ამ მატჩისგან. ასეთი თამაშით კი მოლოდინის გამართლება ძალიან, ძალიან გაჭირდება.

„სამწუხაროდ, ამ თამაშისთვის ვერ შევძელით თავიანთ პოზიციებზე პირველი ნომრების ჩამოყვანა. ჯამში, 11 ასეთი მოთამაშე მოვისაკლისეთ და ამის ძირითადი მიზეზი COVID-19 იყო. რაც ყველაზე ცუდია, მთელი კვირის განმავლობაში, პრაქტიკულად, ყოველდღე გვიხდებოდა შემადგენლობის როტაცია. კორონავირუსი ჰქონდა შერკინების მწვრთნელსაც და დერეფანსა და შერკინებაში ვერცერთხელ შევძელით სრულყოფილი ვარჯიშის ჩატარება. გამოძახებული სამი ძირითადი კვაჭიდან, სამივე ამ მიზეზით გამოგვაკლდა. ამან დიდი გავლენა იქონია და 8 თუ 9 ჩვენი დერეფანი წავაგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად, ბურთი არ გვქონია. რამდენიმე მოთამაშემ წნეხს ვერ გაუძლო და საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ“, – განაცხადა ნაამატჩევს მაისაშვილმა, მაგრამ 27 თებერვლის შეხვედრაში, გულშემატკივარი მიზეზებზე ნაკლებად იფიქრებს და არც ასეთი პასუხი დააკმაყოფილებს. 27-ში, საქართველომ უნდა მოიგოს.

ჩაკვეტაძე და მამარდაშვილი დაბრუნდნენ

გასულ უქმეებზე, ევროპულ საფეხბურთო ლიგებში ქართული ფეხბურთის ორი იმედი მოედანს დაუბრუნდა. „ჰამბურგში“ განათხოვრებულ გიორგი ჩაკვეტაძეს ახალ კლუბში დებიუტი ჰქონდა. მისი გუნდი სტუმრად გათამაშების ლიდერ „დარმშტადს“ ეთამაშებოდა და 5:0 დაამარცხა კიდეც. მწვრთნელმა ახალწვეული ქართველი მოედანზე, მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე, მაშინ შეუშვა, როცა ანგარიში 4:0 იყო. გიორგი საკმაოდ აქტიურად და თამამად ჩაერთო შეხვედრაში, მეხუთე გოლის ორგანიზებაში მონაწილეობაც მიიღო და რაც მთავარია, ნამატჩევს მისი გარჯა, როგორც გერმანულმა მედიამ, ისე სამწვრთნელო შტაბმა დადებითად შეაფასა. „ჰამბურგი“ ბუნდესლიგაში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და თუ გიო თავს გამოიჩენს, სეზონის ბოლოს გერმანელები მის კონტრაქტს გამოისყიდიან, რაც როგორც უშუალოდ ფეხბურთელისთვის, ისე ეროვნული ნაკრებისთვის, ძალიან კარგი ამბავი იქნება.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, „ვალენსიას“ კარში ჩადგა გიორგი მამარდაშვილი. ძირითადი მეკარის ტრავმის ფონზე, მწვრთნელი ისევ ჩვენებურს ენდო და არც შემცდარა – „სოსიედადთან“ მატჩი მამარდაშვილმა უშეცდომოდ ჩაატარა, ორი ძალიან რთული ბურთიც აიღო და 90 წუთის განმავლობაში, გოლი არ გაუშვია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენებურს შანსი მომდევნო მატჩებშიც ექნება და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, „ვალენსიას“ ნომერ პირველ მეკარეობაზე სერიოზული პრეტენზია ექნება.

ოთხი მედალი პარიზიდან და უკეთესის მოლოდინი

პარიზის გრანდ სლემზე, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები, კოვიდ-პანდემიის გამო, შეთხელებული შემადგენლობით წავიდა. ჩვენმა გუნდმა ინფიცირებული ძიუდოისტები მოისაკლისა და თავიდან ნათქვამი 14 ძიუდოისტის ნაცვლად, საფრანგეთის დედაქალაქში მხოლოდ 6 გაემგზავრა, თუმცა ამ ექვსიდან ოთხმა მედალი მოიპოვა.

ტურნირის პირველ დღეს, ოქრო არავის დაუთმო ყველა დროის საუკეთესო ქართველმა ძიუდოისტმა, ლაშა შავდათუაშვილმა. ლაშა ერთადერთია ქართული ძიუდოს ისტორიაში, რომელსაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებთან ერთად, ოლიმპიადაც აქვს მოგებული. მოგეხსენებათ, პარიზის გრანდ სლემი დიდი ფორუმების შემდეგ, ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება და შავდათუაშვილს იქ ოქრო არ ჰქონდა, თუმცა ამჯერად ძალიან მოინდომა და საკუთარ კოლექციას პარიზული ოქროც შემატა.

მესამე ადგილები ვაჟა მარგველაშვილმა და ჯაბა პაპინაშვილმა დაიკავეს, ხოლო ტატო გრიგალაშვილი ფინალში დამარცხდა იაპონელ მეტოქესთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ლუკა მაისურაძემ კი მხოლოდ ერთი ბრძოლა გამართა, დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. -90კგ. წონით კატეგორიაში, ბრინჯაოსთვის უნდა ებრძოლა ბექა ღვინიაშვილს, რომელმაც ფეხის ჩახვევის გამო, ნახევარფინალში ჰანსოკუ-მაკეთი დაისაჯა, თუმცა მას მხოლოდ ნახევარფინალში დისკვალიფიკაცია არ აკმარეს და ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობაც აუკრძალეს. ფეხის ჩახვევა ძიუდოში სასტიკად აკრძალულია, რადგან შესაძლოა, მეტოქემ ისეთი ტრავმა მიიღოს, რომ კარიერა დაასრულოს.

ქუმარიტაშვილი 31-ეა, მოციგურავეებს ცოტა დააკლდათ

პეკინის მიმდინარე ზამთრის XXIV ოლიმპიურ თამაშებზე, მოციგავე საბა ქუმარიტაშვილი, სამი დაშვების ჯამური შედეგით, 34 მონაწილეს შორის, 31-ე ადგილზე გავიდა. საბამ იაპონელ სეია კობაიაშის, სამხრეთკორეელ ნამკიუ ლიმსა და ბოსნია-ჰერცოგოვინელ მირზა ნიკოლაევს გაასწრო. საბამ პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე, სამივე დაშვებას ჯამში, 3:00.393 წუთი მოანდომა და ასპარეზობა დაასრულა.

გამოსვლა დაასრულეს ფიგურულ სრიალში მონაწილე ქართველებმაც. გაირკვა ის ხუთი ნაკრებიც, რომლებიც ფინალურ სდადიაში მიიღებენ მონაწილეობას და სამწუხაროდ, მათ შორის საქართველო არაა. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ჩვენს გუნდს ფინალში მოხვედრის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა წარმატებამდე ქულა დააკლდა და მეექვსე ადგილს დასჯერდა.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთის დედაქალაქი თამაშებს 4-20 თებერვალს მასპინძლობს. საქართველოსთვის ეს ზედიზედ მე-8 ზამთრის ოლიმპიადაა, პეკინში კი მისთვის სარეკორდო 9 სპორტსმენით, სპორტის 3 სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, სამთო თხილამურობა, ციგაობა) წარსდგა.

საქართველო რეიტინგშიც დაწინაურდა

მოგეხსენებათ, ფუტსალში ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. მასში პირველად მიიღო მონაწილეობა საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა,რომელმაც მეოთხედფინალს უწია და ეს ისტორიული შედეგია. ტურნირის დასრულებისთანავე, ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც საქართველო თავისთვის, ასევე, ისტორიულ, მე-11 ადგილზეა. არადა, ორი წლის წინ, 25-ე ვიყავით და სერიოზულ ძალას არ წარმოვადგენდით.

სხვათა შორის, ფუტსალის განვითარება მხოლოდ ახალგაზრდებისთვის კი არაა კარგი, გამორჩეული ვეტერანი ფეხბურთელებიც სიამოვნებით აგორებენ ბურთს და არცთუ იშვიათად, ფუტსალის თამაშებში, ევროპულ მოედნებზე რონალდინიოს, ზიდანსა და სხვა ვარსკვლავებსაც ნახავთ.

ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეიცვლება

გნებავთ, პანდემიას დააბრალეთ, გნებავთ – სხვა რამეს, ფაქტია, რომ ფეხბურთი ანუ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა გულშემატკივარს ყოველდღიურად კარგავს. სტადიონზე მისული მაყურებლის რაოდენობა კი პირდაპირ ისახება კლუბის შემოსავალზე. ამიტომ, უეფა და მისი პრეზიდენტი, ალექსანდრ ჩეფერინი ცდილობენ, ისეთი რამ მოიფიქრონ, რაც ფეხბურთის მატჩებს უფრო სანახაობრივსა და კონკურენტუნარიანს გახდის.

ამ ეტაპზე, საუბარია ნახევარფინალში მყოფ ოთხეულზე, რომლებიც ერთ ქალაქში შეიკრიბებიან და ნეიტრალურ მოედანზე, თითო მატჩიან დაპირისპირებას გამართავენ, როგორც ეს სანაკრებო ტურნირებზე ხდება. მსგავსი რამ, პანდემიის დროს, 2019-20 წლების სეზონში მოხდა, როდესაც ასეთი ფორმატით, ტურნირს ლისაბონმა უმასპინძლა.

„პანდემიის გამო, ჩვენ ჯერ არ გვქონია კონკრეტული დისკუსია, მაგრამ ვფიქრობ, ეს კარგი იქნება“, – განაცხადა ჩეფერინმა და უეფადან გამოსული ინფორმაციის თანახმად, უკვე დაწერილია პროექტი, რომლის მიხედვითაც, ეს ფორმატი ძალაში 2025-26 წლების სეზონიდან შევა.

აფრიკის თასი სენეგალმა მოიგო

კამერუნში, ლამის ერთი თვის განმავლობაში, აფრიკის თასის გათამაშება მიმდინარეობდა. ადრე ეს ტურნირი დიდ ინტერესს არ იწვევდა, მაგრამ ახლა, აფრიკელ ფეხბურთელთა უმრავლესობა ევროპის ტოპ-კლუბებში თამაშობს და შესაბამისად, შეხვედრები ძალიან საინტერესოა. ფინალში ერთმანეთს სენეგალისა და ეგვიპტის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. თავად განსაჯეთ – ერთმანეთის პირისპირ, ინგლისური „ლივერპულის“ ორი საუკეთესო ფეხბურთელი დადგა – სადიო მანე და მოჰამედ სალაჰი. საბოლოოდ, დაძაბული შეხვედრა პენალტების სერიამდე მივიდა და სენეგალმა 4:2 იმარჯვა. არადა, შესაძლებელი იყო, ყველაფერი ძირითად დროში დასრულებულიყო, თუმცა იმავე მანემ, მეშვიდე წუთზე, ეგვიპტელთა კარში დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა. ამის მიუხედავად, პენალტების სერიაში გადამწყვეტი დარტყმის შესასრულებლად სწორედ ის მივიდა და აუღელვებლად შეაგდო.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ სენეგალელთა და ლონდონის „ჩელსის“ კარის დარაჯი, ედუარდ მენდი დასახელდა. საუკეთესო ფეხბურთელი სადიო მანე გახდა, ხოლო საუკეთესო ბომბარდირი, „კამერუნის“ ნაკრების თავდამსხმელი, ვენსან აბუბაქარი. მან თასის გათამაშებაში მეტოქეთა კარი 8-ჯერ აიღო და „ოქროს ბუცს“ დაეუფლა.

ია გრიგალაშვილი

გაიცანით „მთის კაცი“

ექიმი, მესაზღვრე და პოეტი – როგორ ცხოვრობს მიხეილ ჭინჭარაული ხევსურეთში

სიტყვის „გმირი“ მნიშვნელობა, შეიძლება, სხვადასხვა ასოციაციას იწვევს, თუმცა მის გაგონებაზე, ალბათ, პირველ რიგში, სამშობლოსთვის ბრძოლაში დაღუპული ადამიანები გვახსენდებიან. სინამდვილეში, გმირები ის პროფესიონალებიც არიან, რომლებიც მთელი გულით ემსახურებიან სამშობლოს და მოქალაქეების კეთილდღეობას. სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება, რომ ისინი ჩვენი ყოველდღიურობის თანამონაწილენი არიან. საქართველოს ისტორიას ბევრი გმირი, თავდადებული და გამოჩენილი პიროვნება ახსოვს. რატომღაც, ცოცხალ გმირებს, ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გვერდით არიან, სათანდოდ ვერ ვაფასებთ, ზოგი მათგანის შესახებ კი ძალიან ცოტას თუ სმენია. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ მიხეილ ჭინჭარაული, ჩვენი დროის გმირი, ექიმი, მესაზღვრე, პოეტი და ხევსურეთის მკვიდრი, რომლის შესახებაც სოციალური ქსელის მეშვეობით შევიტყვე. „ვერსია“ მიხეილ ჭინჭარაულის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესდა.

– ბატონო მიხეილ, სად გაიზარდეთ, როგორი მოსწავლე იყავით და როდის გადაწყვიტეთ, რომ ექიმი გამხდარიყავით?

– 1949 წლის 4 ივნისს, შატილში დავიბადე. სკოლაში ცოტა გვიან მიმიყვანეს, აქ 4 კლასი დავამთავრე, შემდეგ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში გადამიყვანეს, რომელიც 1970 წელს დავამთავრე. კარგი მოსწავლე ვიყავი, ხუთოსანი, ძალიან მიყვარდა სწავლა. ძირითადად, დედა და ბებია გვზრდიდა, 8 წლის ვიყავი, ყანის მოხვნა და მოთიბვა რომ მასწავლეს. უამრავი სამუშაო იყო სოფელში, რასაც დაუღალავად ვასრულებდი, მაგრამ რაც უმაღლესში ჩავაბარე, მას შემდეგ, მეურნეობას თავი დავანებე. ყველაზე მეტად, ნადირობა და ხეტიალი მიყვარდა, დანარჩენი, რისი გაკეთებაც შემეძლო ფიზიკურად თუ გონებრივად, ყოველთვის ყველაფერს ვაკეთებდი და სანამ შემეძლება, ასე იქნება.

ბავშვობაში მინდოდა, მფრინავი გამოვსულიყავი, ერთხელ, მეათე კლასში ვიყავი, მასწავლებელმა სათითაოდ ყველა ფეხზე წამოგვაყენა, შეგვათვალიერა და გვითხრა, გეტყვით, ვის რა პროფესია მოგიხდებოდათო. როდესაც წამოვდექი, მითხრა: „მიშა, შენ ექიმობა მოგიხდებოდა, სამედიცინოზე ჩაბარება კი რთულია, მაგრამ ჩემი თხოვნა გაითვალისწინე და ხელი ამ საქმეს მოჰკიდე. იმ წუთის შემდეგ ვფიქრობდი მის ნათქვამზე და საბოლოოდ, მართლაც, გადავწყვიტე, ექიმი გავმხდარიყავი. 1971 წელს ჩავირიცხე სასწავლებელში. ძალიან მაინტერესებდა ქირურგია, რადგან მამაჩემი თავის ქალის ტრეპანაციებს აკეთებდა. ზოგადი ქირურგიის მიმართულებით ვისწავლე და 1977 წელს დავამთავრე სასწავლებელი. შემდეგ, ბარისახოში წამოვედი საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1981-83 წლებში, გავიარე კლინიკური ორდინატურა, 2-3 წელი, რკინიგზის საავადმყოფოში ვმუშაობდი, შემდეგ რუსთავის მეტალურგიური ქარხნის სასწრაფო გადაუდებელი ქირურგიის მორიგე ქირურგად დავინიშნე. 1999 წლიდან, როდესაც რუსებმა ჩეჩნებს შეუტიეს, ჩემმა ძმამ, რომელიც რაიონში გამგებელი იყო, მთხოვა, დასახმარებლად წავსულიყავი შატილში, რომ დაჭრილებისთვის მემკურნალა. იქ ამბულატორიის დირექტორად დამნიშნეს და რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ყველაფერს ვუკეთებდი ბრძოლაში დაჭრილ ჩეჩნებს. ძალიან ბევრი სიცოცხლეს გადავრჩინე. ასევე, გამაფორმეს საგუშაგოზეც და იქაც ვმუშაობდი. პლუს, გავიარე კლინიკური ორდინატურა და საოჯახო მედიცინის კურსები. მაქვს ოჯახის ექიმის სერტიფიკატი. წოდებები ჩემთვის მნიშვნელოვანი არ იყო, თუმცა ინტერესი რომ გამომეჩინა, პროფესორიც გავხდებოდი. 4000-მდე ოპერაცია მაქვს გაკეთებული და აქედან ერთი პაციენტიც არ გარდაცვლილა.

– როგორც აღნიშნეთ, გინდოდათ მფრინავი გამოსულიყავით, რატომ არ შეისწავლეთ ეს პროფესია?

– დიახ, რატომღაც სულ მფრინავი მინდოდა ვყოფილიყავი, შატილში რომ ვხედავდი ვერტმფრენებს, სულ გაგიჟებული შევყურებდი. სამწუხაროდ, ამ პროფესიას რუსეთში ასწავლიდნენ, მე კი რუსული არ ვიცოდი და ამანაც შემიშალა ხელი. რადგან მამაჩემი მედიცინაში იყო, გადავწყვიტე, მეც მისკენ ამეღო გეზი. მასწავლებლის რჩევაც გავითვალისწინე და 45 წელია, ექიმი ვარ.

– პარალელურად, მესაზღვრეც ხართ, რამდენად რთულია ეს პროფესია და როგორ პირობებში გიწევთ მუშაობა?

– მესაზღვრის პროფესია ყველაზე რთული ზამთარშია, იკეტება გზები და ყველაფერი. აქაური კაცი რადგან ვარ, ამიტომ ვუძლებ ამ პირობებს. იყო შემთხვევები, როდესაც სხვა კუთხის ადამიანები ჩამოვიდნენ მესაზღვრედ სამუშაოდ, თუმცა ვერ გაუძლეს და მალე წავიდნენ. ძალიან ბევრი სირთულეა, ერთხელ, ფეხმოტეხილი ტურისტი გადაგვყავდა, გამოვიძახეთ მანქანა, შემდეგ კი ავარიაში მოვყევით, სადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, მე კი ორი ოპერაცია დამჭირდა და ძლივს გადავრჩი.

– როგორც ვიცი, პოეტიც ბრძანდებით, როდის დაიწყეთ ლექსების წერა და ძირითადად, რის შესახებ წერდით?

– ბავშვობიდან მიყვარდა პოეზია, სულ ზეპირად ვიცოდი ქართველი პოეტების ლექსები. ძალიან მიყვარდა და მიყვარს ნადირობა, როდესაც მთებში ავდიოდი სანადიროდ, იქ მეხსნებოდა მუზა, გადავხედავდი მთებს და იქვე, ქვებზეც კი დამიწერია ლექსი. მაშინ რომ მეტარებინა ფურცელი და კალამი, უამრავ კარგ ლექსს დავწერდი, მაგრამ რატომღაც არ მივუდექი სათანადოდ ამ საქმეს. ყველაფერზე ვწერდი, რისი სურვილიც იმ წუთას მქონდა – ნადირობაზე, ექიმის პროფესიაზე, სიყვარულზე და ა.შ. ჩემს განცდებს გადმოვცემდი ამით. ორი წიგნია გამოცემული, სადაც ჩემი ლექსებია წარმოდგენილი, ერთი ჩემმა მეგობარმა, ზურა ჯაფარიძემ გამოაცემინა, სახელით – „დოხტურიანი“. ზურას ვუთხარი, რომ ამ ლექსებს გამოსაცემად არ ვწერდი, თუმცა არ მომეშვა და წაიღო ჩემი ხელნაწერები. მეორე წიგნი 2012 წელს, „მთებში დოხტურის ფიქრები“, ჩემმა ახლობელმა, კობა ჭინჭარაულმა გამოაცემინა.

– როგორც ახსენეთ, ლექსების მეშვეობით, თქვენს განცდებს გადმოსცემდით, თუ იყო თქვენს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, რისი გადალახვაც ძალიან გაგიჭირდათ?

– დიახ, პირველი მეუღლე მუცოს ხეობაში დამეღუპა, მდინარეში გადავარდა, მისგან დამრჩა ორი ბიჭი და ერთი გოგო, 53 წლის ვიყავი, როდესაც მეორე მეუღლე შევირთე, მისგან ორი ბიჭი შემეძინა. ოთხი ძმა და ერთი და დამეღუპა, სხვადასხვა მიზეზებით, ერთი ავტოავარიით, ზოგი ჯანმრთელობის პრობლემებით და ა.შ. ასევე, შვილებიც დამეღუპა. 2000 წელი განსაკუთრებით საშინელი იყო, ჯერ დედა დავკარგე, შემდეგ – ძმა და ნოემბერში – მეუღლე... რვა თვეში, სამი ადამიანი გარდამეცვალა. ბევრი ტანჯვა გამოვიარე, თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად, მაინც ვცდილობ, ფეხზე ვიდგე და ცხოვრება გავაგრძელო. აქაური ყოფა რთულია, მაგრამ ამავდროულად სასიამოვნო, ეს გარემო მაძლევს საშუალებას, რომ ვიცოცხლო.

– ბატონო მიხეილ, წლებია, თუშეთში ცხოვრობთ, რა პრობლემებია სოფელში, რა აწუხებს მთის მოსახლეობას ყველაზე მეტად?

– ყველაზე შემაწუხებელი გზის ჩაკეტვაა, ჯანმრთელობის პრობლემა თუ ვინმეს აქვს, ყველას ვეხმარები. კარგი იქნებოდა, ორ კვირაში ერთხელ, მაინც იყოს ფრენა. მესაზღვრეებთან რა რეისებიც არის, მაგას ვიყენებთ მხოლოდ. ამასწინათ, ერთი მაცხოვრებელი გვყავდა კორონავირუსით ინფიცირებული, მომიწია ვერტმფრენის გამოძახება, წაიყვანეს ეს ქალბატონი და საბედნიეროდ, გადარჩა, ახლა კარგადაა. შატილში 12 ოჯახია, მუცოში – ერთი, სულ 40 კომლამდე იქნება გარშემო სოფლებში. არის ერთი სკოლა-ინტერნატი, ხეობებიდან ჩამოჰყავთ ბავშვები, სულ რვა მოსწავლეა. იქნებ, მეტი ყურადღება მიაქციონ. რაც შემიძლია და ვისაც რა გაუჭირდება, ყველას ვეხმარები, ღამეებსაც ვუთენებ, თუ საჭიროა და თავზე ვადგავარ. ახლა, თვალს ვადევნებ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, არ შეიძლება, პოზიცია და ოპოზიცია ასე რომ დაობს, შერიგდნენ და ხალხს გვერდში დაუდგნენ, სიკეთე აკეთონ და გაჭირვებულებს ხელი მოუმართონ. არ შეიძლება, ქართველები ასე ჩხუბობდნენ ერთმანეთში.

– საკმაოდ საინტერესო ცხოვრება გაქვთ და უამრავი გამოცდილება მიიღეთ, რა რჩევას მისცემთ მომავალ თაობას?

– ახალგაზრდებს ვურჩევ ისწავლონ, განათლება მიიღონ და პირველ რიგში, აირჩიონ ის პროფესია, რომელიც აინტერესებთ და ეყვარებათ, შემდეგ კი ერთმანეთს ხელი მოუმართონ და სიკეთე აკეთონ.

აუცრელ დეპუტატს იზოლაციაში გადაიყვანენ

გერმანიაში, ბუნდესტაგის დეპუტატს, იოაჰიმ ვუნდრაკს კომიტეტების სხდომებზე შუშით გამოყოფილ სპეციალურ ზონაში დასვამენ, რადგან ის უარს აცხადებს ვაქცინაციაზე. ბოლო სხდომაზე, სადაც მხოლოდ ვაქცინირებულებს ან ვირუსგადატანილებს უშვებენ, ვუნდრაკი საერთოდ არ შეუშვეს, რადგან დარბაზში არ იყო ცალკე ზონა აუცრელებისთვის. დეპუტატს არც დისტანციურად შეეძლო დასწრება, რადგან საგარეო კომიტეტის სხდომები მაღალი უსაფრთხოების რეჟიმში მიმდინარეობს. ამის გამო, ბუნდესტაგში მიიღეს გადაწყვეტილება: ვუნდრაკი სხდომას ორგანული შუშით გარშემორტყმული ზონიდან დაესწრება.

კორეელი ლიდერი საკუთარი უნიტაზით დადის

ბრიტანული გამოცემა „მირორი“ წერს, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ინი განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევა, როცა საქმე ჰიგიენას ეხება. ის საჯარო ტუალეტებით არ სარგებლობს და სადაც მიდის, ყველგან საკუთარი უნიტაზი დააქვს. როგორც მედია აღნიშნავს, ქვეყნის ხელმძღვანელის ყველა ავტომობილშია მოწყობილი, ეგრეთ წოდებული, სველი წერტილი და სპეციალურად მისთვის განკუთვნილი უნიტაზია ჩამონტაჟებული. მის პირად ტუალეტს დაცვა დარაჯობს და თუ ვინმე მისით სარგებლობას გადაწყვეტს, შეიძლება, სიკვდილით დასაჯონ, – წერს „მირორი“.

ლეონარდოს ნახაზებით დრონი ააწყვეს

მერილენდის უნივერსიტეტის ასპირანტმა, ოსტინ პრეტემ უპილოტო კვადროკოპტერი ლეონარდო და ვინჩის XV საუკუნის ესკიზებით შექმნა. 1480 წელს, იტალიელმა გენიოსმა ერთადგილიანი მფრინავი აპარატის კონსტრუქცია დახაზა, რომელიც საჰაერო ვინტების დახმარებით მოძრაობს. ამ იდეის შესამოწმებლად, უნივერსიტეტის ინჟინრებმა, ორი წლის წინ, ძველი ტექნოლოგიის ტესტირება მოაწყვეს, რაც წარმატებით ჩატარდა. მოგვიანებით კი, პრეტემ დრონი ააწყო, რომელშიც და ვინჩის ეს კონსტრუქცია გამოიყენა და რამდენიმე მოკლე ფრენაც განახორციელა. ასეთი შედეგით, თავად სპეციალისტებიც კი გაოცებულები დარჩნენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ლეონარდოს ტექნოლოგია დიდი მფრინავი აპარატებისთვისაც გამოდგება, რომელიც ადამიანებსაც გადაიყვანს.

ჭამისას პირბადეს აღარ მოიხსნით

სამხრეთკორეულმა კომპანიამ ახალი ნიღაბი გამოუშვა, რომელსაც ჭამის დროს აღარ მოიხსნით – საკმარისია, მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი მოატრიალოთ და ცხვირზე აიწიოთ, დანაყრების შემდეგ კი, კვლავ ჩამოიწიოთ. პირბადეს Kosk უწოდეს. ამ სიტყვით, კორეაში, იმ ადამიანებს მოიხსენიებენ, რომლებიც ნიღაბს არასწორად ატარებენ – მხოლოდ პირს იფარავენ და ცხვირს ღიად ტოვებენ. ასეთი პირბადის ათცალიანი შეკვრა 8 დოლარი ღირს. ახალი ნიღაბი სამხრეთ კორეაში ომიკრონის შტამის მასობრივად გავრცელების ფონზე გამოჩნდა.

საუკეთესო ღირსშესანიშნაობები დაასახელეს

მოგზაურებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა საიტმა – TripAdvisor, მსოფლიოს საუკეთესო ტურისტული ობიექტები დაასახელა. ჩამონათვალი 22 წლის განმავლობაში, მილიარდზე მეტი მომხმარებლის გამოხმაურების შედეგად შედგა. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სასტუმრო – Luxor Hotel & Casino აღმოჩნდა ლას-ვეგასში, ტურისტებისთვის საყვარელი რესტორანი კი პორტუგალიის დედაქალქში, ლისაბონში მდებარე Pasteis de Belem-ია. ყველაზე პოპულარულ ღირსშესანიშნაობად ბარსელონას „საგრადა ფამილია“ დასახელდა. საიტმა მომხმარებლებს შორისაც გამოავლინა რეკორდსმენები – ყველაზე გრძელი გამოხმაურება ტურისტმა დაწერა, რომელიც კუბაზე ისვენებდა. მან 17.2 ათასსიტყვიანი წერილი დაწერა. მეორე მოგზაური კი ატვირთული ფოტოებით გახდა გამარჯვებული. საიტზე მან 102.2 ათასი სურათი გააგზავნა.

დამლაგებლებად ყვავებს ამუშავებენ

შვედეთში გადაწყვიტეს, ქალაქების დასასუფთავებლად ყვავები გამოიყენონ. ექსპერიმენტის ჩატარებას ქალაქ სიოდერტელიეში აპირებენ. როგორც იდეის ავტორები ამბობენ, ეს ფრინველები იმდენად ჭკვიანები არიან, რომ მათ დიდხანს გაწვრთნა არ დასჭირდებათ. გარდა ამისა, „განსწავლული“ ყვავი „ცოდნას“ სხვა თანამოძმეებსაც გადასცემს. ამ საქმიანობით ფრინველები ჭამის ფულსაც „გამოიმუშავებენ“ და თან ქალაქის ქუჩებსაც გაწმენდენ ნაგვისგან. ყვავებმა მცირე ზომის ნაგავი ან სიგარეტის ნამწვები უნდა აიღონ და სპეციალურ ავტომატში, საჭმელზე „გაცვალონ“. პროექტს გაზაფხულზე აამოქმედებენ.

ძილში ფულს იხდიან

ამერიკული კომპანია Eachnight, რომელიც სწორი ძილის შესახებ რჩევებს აქვეყნებს, მოხალისეებს ეძებს. კომპანია ექსპერიმენტის მონაწილეებს, 30 დღის განმავლობაში, დღისით დაძინებისთვის 1500 დოლარს გადაუხდის. ექსპერიმენტის მიზანია, რამდენიმე თეორიის გადამოწმება დღისით ძილის სარგებელის შესახებ – მაგალითად, რამდენსაათიანი ძილია საჭირო დასვენებისთვის, ან რა გავლენა აქვს დღისით ძილს მეხსიერებაზე, მოტივაციასა და პროდუქტიულობაზე. ექსპერიმენტში მონაწილეობა 18 წელს გადაცილებულ ადამიანებს შეუძლიათ.

სიღარიბესთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდი

ინდონეზიის კულტურისა და განათლების მინისტრმა შეძლებულ ადამიანებს მოუწოდა, ღარიბებზე დაქორწინდნენ, რათა ამ გზით დამდარცხდეს უთანასწორობა. არადა, ქვეყანაში გავრცელებული მუსულმანური რელიგიური წესებიდან გამომდინარე, თანასწორობის ტენდენცია გავრცელებული არაა – ყველამ თავისი თანასწორი უნდა მოძებნოს, თუმცა მინისტრი აცხადებს, რომ ადამიანებს ეს წესი არასწორად ესმით. ჩინოვნიკმა, ეგრეთ წოდებული, სერტიფიციტირების პროგრამაც აამუშავა, რომლითაც, წყვილს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკურად სტაბილური, მაგრამ დაქორწინება სურს, სპეციალურ მოწმობას მისცემენ.

„რა იქნება, თუკი ღარიბი ისევ ღარიბზე დაქორწინდება? – უფრო მეტი ღარიბი ადამიანი გვეყოლება. ეს კი ინდონეზიისთვის პრობლემაა“, – აცხადებს მინისტრი. ის მზადაა, სპეციალური კანონიც გამოსცეს კლასთაშორის ქორწინებაზე და ეკონომიკურად არასტაბილურ წყვილებს სამუშაოს მოძიებაშიც დაეხმაროს.

პენსიისთვის სქესი შეიცვალა

შვეიცარიის ქალაქ ლუცერნის მცხოვრებმა მამაკაცმა სქესი შეიცვალა, რათა უფრო ჩქარა გამხდარიყო პენსიონერი. თუმცა, ქალად ის მხოლოდ საბუთებით იქცა. საქმე ის არის, რომ 2002 წლიდან, შვეიცარიაში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს დოკუმენტებში სქესის შეცვლის პროცედურას. ახლა ამისთვის, მხოლოდ განცხადების დაწერა და ადმინისტრაციული მოსაკრებლის – 75 ფრანკის გადახდაა საკმარისი. აქამდე, ამ პროცედურისთვის სამედიცინო დიაგნოსტიკის, ჰორმონალური თერაპიისა და ექიმის ცნობის წარდგენა იყო საჭირო. ჩანს, გამჭრიახმა მამაკაცმა ახალი წესებიდან სარგებლის ნახვა გადაწყვიტა – შვეიცარიაში, ქალები 64 წლის ასაკში ხდებიან პენსიონერები, მამაკაცები კი – 65-ის. ის ახლა ერთი წლით ადრე გავა პენსიაზე და რაც მთავარია, ლეგალურად.

ენერგიას მაისური გამოიმუშავებს

ესპანელმა და იტალიელმა სწავლულებმა მაისური შექმნეს, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამას სხეულსა და გარემოს შორის არსებული ტემპერატურული სხვაობით ახერხებს. სეირნობის, სირბილის ან სპორტული ვარჯიშების შესრულების დროს, ადამიანის სხეულის მიერ გამომუშავებული სითბოსა და გარემოს შედარებით ცივ ტემპერატურასთან სხვაობა, შესაძლოა, სითბურ ენერგიად გარდაიქმნას. თუმცა საინტერესოა, როგორ გამოვიყენოთ ის?

მაგალითად, დავტენით ტელეფონს, თუკი ჩავიცვამთ მაღალტექნოლოგიურ მაისურს სირბილისას. ტანსაცმლის ახალი ტიპის განმასხვავებელი ნიშანი, მასში პომიდვრის კანის არსებობაა. ბამბის მაისურზე ნახშირწყლოვანი ნანონაწილაკების მისამაგრებლად სწავლულებს, ეგრეთ წოდებული, ბიოლოგიური წებო დასჭირდათ, რისთვისაც სწორედ პომიდვრის კანი გამოიყენეს. ამით კი ნარჩენების პრობლემაც მოაგვარეს – ახალი მაისური საკმაოდ მდგრადია გარეცხვისას. ამჟამად, მკვლევარები მაისურის დახვეწაზე მუშაობენ, რათა ის რეცხვასა და გაუთოვების დროს, მთლიანად მდგრადი იყოს.

მაღვიძარა ძილისგუდებს ფულს ჩამოაჭრის

პროგრამისტებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, ახალი აპლიკაცია Mezamee წარადგინეს, რომელიც მომხმარებელს, დაგვიანების შემთხვევაში, მითითებული საბანკო ბარათიდან თანხას ჩამოაჭრის. აპლიკაციის მიზანია, მომხმარებელს დაეხმაროს, არ დააგვიანოს. ამისთვის მან აპლიკაციაში მონაცემები უნდა შეიყვანოს – რომელ საათზე უნდა იყოს ამა თუ იმ ადგილას. თუ ის დათქმულ დროს, საკუთარ სახლთან 100 მეტრზე ახლოს იქნება, აპლიკაცია მას ბარათიდან გარკვეულ თანხას ჩამოაჭრის. ადამიანს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა თანხას დაკარგავს დაგვიანების შემთხვევაში. „ჯარიმის“ მინიმალური თანხა 100 იენია.

ალკოჰოლიზმის მკურნალობის ახალ მეთოდს მიაგნეს

სწავლულებმა ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანების მკურნალობის ახალ მეთოდს მიაკვლიეს. ასეთი აღმოჩნდა ფართოდ გამოყენებული საანესთეზიო პრეპარატი – „კეტამინი“. მის დაბალ დოზებს, თერაპიასთან ერთად, ალკოჰოლიზმის განკურნების უნარი აღმოაჩნდა. კვლევებისას, სასმელზე დამოკიდებული ადამიანების ჯგუფი ორ ნაწილად გაყვეს: ერთს „კეტამინს“ აძლევდნენ, მეორეს – პლაცებოს. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პაციენტებს, რომლებიც „კეტამინს“ იღებდნენ, სასმელისგან თავის შეკავება უფრო დიდხანს შეეძლოთ, ვიდრე მათ, რომლებიც პლაცებოს იღებდნენ. ექვსი თვის შემდეგ კი, რეციდივის რისკი 2.7-ჯერ ნაკლები იყო.

ღორის კუჭმა გაამდიდრა

ჩინელი ფერმერი, რომელმაც თავის დაკლულ ღორის კუჭში, ეგრეთ წოდებული, ვეზოარული ქვა აღმოაჩინა, უცებ ოლქის უმდიდრეს ადამიანად იქცა. ნაპოვნი ქვა თმის გორგალი და გადაუმუშავებელი საჭმელია, რაც, დროთა განმავლობაში, ცხოველის კუჭში გაქვავდა. ამ აღმოჩენის ღირებულება 606 ათასი დოლარია. ჩინეთის სოფლის მცხოვრებლებს იშვიათად უმართლებთ ამგვარი „ქვის“ აღმოჩენაში. ადგილობრივები მას „ღორის განძს“ უწოდებენ. მიიჩნევა, რომ პრეპარატებს, რომლებსაც მისგან ამზადებენ, შესანიშნავად გამოყავს ორგანიზმიდან ტოქსინები და ადამიანს უამრავი დაავადებისგან არჩენს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, „ღორის განძს“ ინგლისელი მედიკოსები იყენებდნენ, ხოლო დღევანდელ ჩინეთში, ექიმებში, ამ ვეზოარულ ქვას ოქროს ფასი აქვს. ფერმერმა ნაპოვნი „ქვა“ შანხაიში წაიღო და თითქმის 7 ათასი დოლარი დახარჯა მისი მიახლოებითი ფასის დადგენაში.

მიირთვით კარაქიანი ყავა

ბრიტანული „დეილი მეილის“ ცნობით, დასავლეთის ქვეყნებში, ახალი მოდა იკიდებს ფეხს – კარაქიანი ყავა. ახალი სასმელის მოყვარულები ირწმუნებიან, რომ ამ ორი პროდუქტის შერწყმა ზრდის ენერგიას, ხელს უწყობს წონის დაკლებასა და ყურადღების გამახვილებას. აღსანიშნავია, რომ ამერიკასა და ნისლიან ალბიონზე, კარაქიანი ყავა ყავახანების მენიუში უკვე გაჩნდა და თავად ყავის მწარმოებლებმაც დაიწყეს პროდუქციის გამოშვება ასეთივე წარწერით. ცხიმგარეული ყავა ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ-ერთმა „გურუმ“, დეივ ასპრეიმ მას შემდეგ დაამკვიდრა, რაც ტიბეტში მოგზაურობისას, ჩაი იქაური იაკის კარაქით გასინჯა. ასპრეის თქმით, ასეთი სასმელი ადამიანს ენერგიას მატებს 6 საათის განმავლობაში, ორგანიზმი კალორიებს მთელი დღის განმავლობაში წვავს, ასევე, ის ზრდის ადამიანის შემეცნებით და ყურადღების გამახვილების უნარს. სასმელს საკმაოდ სპეციფიკური გემო აქვს და ყავაც აშკარად ცხიმიანი გამოდის. ამის გამო, მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს სასმელი წონის დაკლებას ხელს ვერ შეუწყობს და პირიქით, გაზრდის ორგანიზმში ცხიმოვან მასას, ხოლო სისხლში – ქოლესტერინს. ეს უკანასკნელი კი ცნობილია, რომ გულის დაავადებებსა და ინსულტის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

ეპიდემიისას მიირთვით კიტრი

ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი პროდუქტი – კიტრი, სასარგებლო საკვებია არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ, ის ადამიანის რაციონის განუყრელი ნაწილიც უნდა გახდეს, განსაკუთრებით, ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს. კიტრი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რაც ორგანიზმს ეხმარება საშიში თავისუფალი რადიკალებისგან დაცვაში. კიტრის მოხმარებამ გაციების, გრიპის, კორონავირუსის ეპიდემიის დროს, შესაძლოა, ორგანიზმს ძლიერი დახმარება გაუწიოს და დაავადების წინააღმდეგ მისი ბრძოლისუნარიანობა გაზარდოს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

კიტრი მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. ეს ბოსტნეული შეიცავს კუკურბიტაცინებს – ნაერთებს, რომელიც მას ერთგვარ სიმწკლარტეს ანიჭებს. სწორედ ეს ნივთიერება უწყობს ხელს ნივთიერებათა ცვლისა და სისხლში შაქრის დონის დარეგულირებას. კიტრში არის სტეროლებიც, რომლებიც ქოლესტერინის დონის დაქვეითებას იწყობენ ხელს.

ანტისტრესული ყურსასმენები შექმნეს

კორეული კომპანია Fuman-ის წარმომადგენლებმა, უზარმაზარი ანსტისტრესული ყურსასმენები Nirvana შექმნეს, რომელიც მუსიკას არანაირად არ უკავშირდება. ერთადერთ ხმას, რომელსაც ამ გაჯეტის საშუალებით მოისმენთ, თეთრი ხმაურია. საქმე ის არაა, რომ ყურსასმენებში, ყურების მასაჟისთვის საჭირო მილაკებია ჩამონტაჟებული, ეს Nirvana-ს ერთადერთი ფუნქციაა, რაც, მწარმოებლების თქმით, გაჯეტის მომხმარებელს „დამშვიდებისა და კომფორტის შეგრძნების“ გრანტიას აძლევს. ფირმამ ამ უნიკალური ყურსასმენების შესაქმნელი საჭირო თანხა, ინტერნეტ-მომხმარებლების საშუალებით შეაგროვა და მისი მასობრივი წარმოების დასაწყებად საკმარისი ფული უკვე აქვს. თვის ბოლომდე, ამ ინოვაციური გაჯეტის შეძენა 180 დოლარად იქნება შესაძლებელი.

ტემპერატურას სათვალით გაზომავთ

ერთ-ერთმა ჩინურმა სტარტაპმა შექმნა „სმარტ“-სათვალე, რომლის დახმარებითაც გაირკვევა, აქვს თუ არა მეორე ადამიანს სიცხე. ეს გამოგონება განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, კორონავირუსის პანდემიისას. COVID-19-ის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი, სწორედ მომატებული ტემპერატურაა. ამ ახალი, „ჭკვიანი“ მოწყობილობის საშაუალებით, შესაძლებელია, მეორე ადამიანს, სამი მეტრის მანძილზე გაუზომოთ სიცხე. მაგალითად, აეროპორტებში, სავაჭრო ცენტრებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში, ასეთი სათვალე შეუცვლელი იქნება. მასში Qualcomm-ის მიკროპროცესორია ჩამონტაჟებული, ინფრაწითელი გადამცემითა და კამერით.

ყველაზე სასარგებლო ტკბილეული

სწავლულებმა ადამიანისთვის ყველაზე უფრო სასარგებლო ტკბილეული დაასახელეს. მათი თქმით, დღის განმავლობაში, 16-დან 18 საათამდე, სისხლში მნიშვნელოვნად იკლებს შაქრის დონე, რაც ადამიანის ენერგიულობასა და შრომისუნარიანობაზე მოქმედებს. მეცნიერები გვირჩევენ, ამ პერიოდში, თავს დესერტით სიამოვნების უფლება მივცეთ, თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რა ტკბილეულს აირჩევთ. ის არა მხოლოდ „უბრალო“ ნახშირწყლები უნდა იყოს, არამედ, სასარგებლო ინგრედიენტებსაც შეიცავდეს. არგენტინელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ სწორედ ასეთი დესერტია ზეფირი. 100 გრამ ტკბილეულში, 300 კილოკალორიაა, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა პირის ჩასატკბარუნებლებში. სხვებისგან ზეფირი იმითაც გამოირჩევა, რომ მასში არ არის ცხიმები, მხოლოდ ცილა და ნახშირწყლებია და ამიტომ ფიგურას არ ვნებს. მის დასამზადებლად შაქარს, კვერცხის ცილას, ხილფაფასა და ჟელესებურ ნივთიერებებს (ჟელატინს, აგარს ან პექტინს) იყენებენ. აგარი და პექტინი მცენარეული წარმოშობისაა, მათ ორგანიზმიდან ტოქსინები, მძიმე მეტალების იონები გამოჰყავთ, აქვეითებენ „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს სისხლში და ანტივირუსული თვისებებიც გააჩნიათ. სწავლულების თქმით, ჟელატინიანი ზეფირი განსაკუთრებით სასარგებლოა მოტეხილობების, ან ძვლის გაბზარვისას, რადგან მას აღმდგენი ეფექტი აქვს.

კალორიებს პირში დაგითვლიან

ამერიკელმა მეცნიერებმა ტაფტსის უნივერსიტეტიდან, კბილის, ეგრეთ წოდებული, მრიცხველი შექმნეს, რომელიც კალორიებსაც დაითვლის და საკვების შემადგენლობასაც გაანალიზებს. მოწყობილობა აკონტროლებს საჭმელში გლუკოზის, მარილის, სპირტისა და სხვა ნივთიერებების რაოდენობას. გადამცემის ზომა, დაახლოებით, 2 მილიმეტრია. ის სამი ფენისგან შედგება და ღრუბლის („გუბკის“) პრინციპით მოქმედებს. ასე, ქვედა ფენა მიკრონაწილების აბსორბირებას ახდენს. ზედა ორი ფენა კი ინფორმაციას აწვდის მოწყობლობას, რა პროდუქტები მიირთვა ადამიანმა. სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ეს გამოგონება კვებითი ქცევების შესწავლაში დაეხმარება, ასევე, გამოიკვლევენ სხვადასხვა დიეტების გავლენას ორგანიზმის მდგომარეობაზე. პერსპექტივაში, სიახლე, შესაძლოა, სხვადასხვა დაავადებების დიაგნოსტირებისთვისაც გამოიყენონ.

მარილი იმუნურ სისტემას აქვეითებს

მარილის ჭარბმა მოხმარებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს არა მხოლოდ სისხლის წნევის კრიტიკული მატება, ინფარქტისა და ინსულტის რისკის ზრდა, არამედ, ის შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს, – გვაფრთხილებენ გერმანელი სწავლულები, ბონის უნივერსიტეტიდან. კვლევებისას, მოხალისეები, გარდა ჩვეული მოხმარებისა, დამატებით კიდევ 6 გრამ მარილს იღებდნენ, ყოველდღიურად. დაახლოებით, ამ რაოდენობის მარილს შეიცავს ორი ჰამბურგერი და ორი პორცია კარტოფილი-ფრი. უკვე ორი კვირის შემდეგ, ასეთი რაციონის გამო, იმუნური უჯრედები ბაქტერიებს გაცილებით ცუდად უმკლავდებოდნენ. მარილის მომატებულმა რაოდენობამ მკვეთრად გამოხატული იმუნოდეფიციტი გამოიწვია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დღეში 5 გრამზე მეტი მარილის მიღება არ არის სასურველი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.